# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 81 შაბათი, 2 ნოემბერი, 1918 წ. № 81



ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

## კაფე „ერთობა“

კაფე „ერთობა“, კაფე „ერთობა“,
რა საგულისხმო გასაგონია!
ამაზე იაფ ჯანსაღ სადილსა
ვერსად ვერ ჰპოვებთ არა მგონია.
ორ თავ სადილში, თავისი პურით,
თქვენ „ერთობაში“ შვიდ მანეთს მისცემთ.
და მადლიერი მორთმეულ კერძით
კაფე „ერთობას“ მუდამ პატივს სცემთ.
ქართულ კლუბის ქვეშ კაფე „ერთობას“
ვინ არ იპოვის, ვინ არ მიაგნებთ?
სადაც კი გინდათ დაგიგვიანდეთ
კაფე „ერთობის“ სადილს მიასწრებთ. 25—16 680.

დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი და მისი შვილები: დავით, ქეთევან, ეკატერინე (გულისაშვილისა) და ელენე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 3 გიორგობისთვეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის მეუღლის და საყვარელის დედის

### ელენე სოფრონის ასულის კარიჭაშვილის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება სრულს 1 საათზედ. 987 1—1

შაბათს 3 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ საექიმო სასანიტარო განყოფილების ბინაზე (ქსენიევის ქუჩა № 10) გაიმართება

### ინფლუენციის ეპიდემიის შესახებ ექიმთა თათბირი.

საექიმო სასანიტარო განყოფილების უფროსი სთხოვს თათბირზედ მობრძანდენ: 1) ყველა საავადმყოფოების (კერძო და სახელმწიფო) გოსპიტლების და ლაზარეთების გამგე ექიმებს (ანუ ვისაც დასახელებული დაწესებულებანი გამოგზავნიან); 2) ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა წარმომადგენელს; 3) კავკასიის ექიმთა საზოგადოების წარმომადგენელს; 4) სამხედრო სასანიტარო გამგეობის წარმომადგენელს; 5) ქალაქის თვითმართველობის საექიმო სასანიტარო განყოფილების გამგეობას; 6) რკინის გზის საავადმყოფოს გამგეობას. თათბირის მიზანია მსჯელობა: 1) აწინდელ ტიპის ინფლუენციაზედ, 2) ინფლუენციით ხალხის დაავადების რაოდენობაზედ ქ. ტფილისში, და 3) ინფლუენციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო ზომების მიღებაზედ. 862 1—1

### ექიმი ი. კ. აბაკელია
შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86. № 719.

ვიღებ გადასაკეთებლად

### საწერ მანქანებს

ქართულ ენაზე. შრიფტი იქნენა ფოლადისა და საუკეთესოთ შესრულებული. შეკვეთა შეიძლება ტეხნიკურ კანტორა ინჟინერ ვ. კანდელაკისა, ერევნის მოედანი, პუშკინის ქუჩა, № 1. 981 2—2


## ოფიციალური განყოფილება

### განკარგულებანი

ტფილისის გუბერნიის კომისარის.

16 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 253.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: პორუჩიკი სერგო პავლეს ძე ჩხეიძე სიღნაღის მაზრაში გურჯაანის უბნის მილიციის უფროსის და საუბნო კომისარის თანამდებობაზე.

№ 254.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: მოქალაქე გიორგი კონსტანტინეს ძე ჟორდანია გორის მაზრაში ბორჯომის უბნის მილიციის უფროსის და საუბნო კომისარის თანამდებობაზედ.

№ 255.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: მოქალაქე სოლომონ (ფაჩო) ჟორდანია გორის მაზრის ბორჯომის უბნის მილიციის უფროსის და საუბნო კომისარის თანამდებობიდან ამა რიცხვიდან.

9 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 231.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: ბორჩალოს მაზრის კომისრის უფროსი თანაშემწე რაჟდენ რაჟდენის ძე ჯავახიშვილი ალავერდის უბნის მილიციის უფროსის და საუბნო კომისრის თანამდებობაზედ.

№ 239.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: მილიციის უფროსისა და ბორჩალოს მაზრის ალავერდის უბნის კომისრის თანამდებობიდგან მოქალაქე ვლადიმერ ჩხაიძე.

№ 234.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: ბორჩალოს მაზრის კომისრის უფროსი თანაშემწე მ. ა. მამულაშვილი გორის მაზრის კომისრის უფროს თანაშეწის თანამდებობაზედ.

№ 235.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: მოქალაქე ილია ნიკოლოზის ძე ლოლობერიძე ბორჩალოს მაზრის კომისრის უფროს თანაშემწის თანამდებობაზედ.

№ 236.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: უფროსი თანაშეწე გორის მაზრის კომისარისა გ. გ. შარაშენიძე თიონეთის მაზრის კომისრის უფროს თანაშეწის თანამდებობაზედ.

№ 237.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: დუშეთის მაზრის კომისარი პ. მ. ლანდია ბორჩალოს მაზრის კომისრის თანამდებობაზედ.

№ 238.

დ ა ე ვ ა ლ ა: სიღნაღის მაზრის კომისრის უნცროს თანაშეწეს ა. ტყემალაძეს დუშეთის მაზრის კომისრის მოვალეობის ასრულება დროებით, სამინისტროს მიერ მაზრის კომისრის დანიშვნამდე.

№ 239.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: მილიციის უფროსი და გორის მაზრის ქვემო ჭალის საუბნო კომისარი ბ. დ. ილურიძე გორის მაზრის კომისრის უმცროს თანაშემწის თანამდებობაზედ.

№ 240.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: რომან თედორეს ძე ნატროშვილი მილიციის უფროსის და სიღნაღის მაზრის, შირაქის უბნის კომისრის თანამდებობიდგან.

№ 241.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: პოდპორუჩიკი ვალერიან ბაგრატის ძე თუშიშვილი სიღნაღის მაზრაში მილიციის უფროსის და შირაქის უბნის კომისრის თანამდებობაზე.

№ 242.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: ი. მ. ცინცაძე თიანეთის მაზრის, თუშ-კახეთის უბნის მილიციის უფროსისა და საუბნო კომისარის თანამდებობიდგან სიღ. მაზ. მაჩხაანის უბნის მილიციის უფროსისა და საუბნო კომისარის თანამდებობაზედ.

№ 243.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: ბ-ი იოსებ იოსების ძე ბისლაური სიღნაღის მაზრის, მაჩხაანის უბნის მილიციის უფროსის საუბნო კომისარის თანამდებობიდგან.

№ 244.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: მოქალაქე სიმონ გიორგის ძე დვანაძე თიონეთის მაზრის თუშკახეთის უბნის მილიციისა უფროსისა და კომისარის თანამდებობაზე.

№ 245.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: დიმიტრი მიხეილის ძე საყვარელიძე თელავის მაზრის წინანდალის უბნის კომისრისა და მილიციის უფროსის თანამდებობიდგან.

15 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 246.

შ ე ც ვ ლ ი ლ ი ქ მ ნ ა: ჩემი ბრძანება ამა ოქტომბრის 9-ს № 24 პოდპორუჩიკ ვ. ბ. თუშიშვილის დანიშვნის შესახებ.

247.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: მოქალაქე ალექსანდრე ივანეს ძე ბუხრაშვილი სიღნაღის მაზრაში შირაქის უბნის მილიციის უფროსის და საუბნო კომისრის თანამდებობაზე ამა რიცხვიდან.

№ 248.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: მოქალაქე გიორგი მიხეილის ძე ჭელიძე თელავის მაზრის წინანდალის უბნის მილიციის უფროსის და საუბნო კომისარის თანამდებობაზე ამა რიცხვიდან.

№ 249.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: პრაპორჩიკი ნიკოლოზ სიმონის ძე საყვარელიძე გორის მაზრაში ქვემოჭალის უბნის მილიციის უფროსისა და საუბნო კომისარის თანამდებობაზე.

№ 252.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: მოქალაქე ვასილ საგორის ძე ამბიშვილი სიღნაღის მაზრის გურჯაანის უბნის მილიციის უფროსისა და საუბნო კომისრის თანამდებობიდან ათს (10) ამა ოქტომბრიდან.

ტფ. გუბერნიის კომისარი მ ა ღ ლ ა კ ე ლ ი ძ ე.

## არა ოფიციალური განყოფილება

ტფილისი, 2 ნოემბერი

საშინელი ჯოჯოხეთური ომის გეენაში ჩაიწვა წარმტაცი ლოზუნგები ერთა სოლიდარობისა და ძმობისა. ბრძოლის ველზე ჩაკლეს ადამიანობა და მისი ღირსება. იმპერიალისტურ სწრაფვა-ლტოლვას შეეწირა ყოველივე პროგრესიული და კაცობრიული. ომის ღმერთის სამსხვერპლოზე დაჰკლეს პროგრესი და მსოფლიო სისხლის კოშმარში გახვიეს იგი. ადამიანთა ქლეტა და სისხლი—შეიქნა კულტათ, მაგრამ ბოლო არ მოეღებოდა მას? იყო კიდევ დარჩენილი სინიდისი, რომელიც ცხარეთ ებრძოდა სისხლით შეთხუპნულ ზარბაზნებს; გაპარტახებული და გაველნებული ხალხი, ომის ლოდის სიმძიმეს ქვეშ რომ კვნესოდა, დღეს ზეზე დგება და ხმას იმაღლებს... კაცობრიობის საბედნიეროთ, კვლავ მასიურ ლოზუნგათ ხდება ძმობა-ერთობა-თავისუფლება, ომისგან გავარვარებულ ატმოსფერას თავს ახწევს მისგან გაბრუებული ხალხი, ველურობის სისასტიკეს გაურბის დემოკრატია და საბრძოლველ საზავო ლოზუნგზე გრძნობისა და გონების ცეცხლის ასოებით იწერება:— ხალხთა სწორუფლებიანობა, ხალხთა თვითგამორკვევა, ომის მოსპობა,—სიტყვები, რომელიც კაცობრიობას გააბედნიერებს, როდესაც იგი საქმეთ გადაიქცევა.

ერთა თავისუფლება, ერთა შორის შეთანხმება, ერთა კავშირი ანუ ლიგა სადღეისო ლოზუნგათ იქცა და ევროპის დემოკრატია მის გარშემო ირაზმება.

ძირს ომი! გაუმარჯოს თავისუფლებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთა კავშირს!—გაისმის დღეს მოწინავე ქვეყნებში და ხმას აძლევს მას საქართველო.

საქართველო, რომლის დროშაზე კაცთმოყვარება და სოლიდარობაა აღბეჭდილი, სადაც დემოკრატიაა ბატონპატრონი და მზრუნველი ქვეყნისა, სადაც იგი გამგებლობს, ატარებს და ანხორციელებს სინამდვილე—ცხოვრებაში ერთა სოლიდარობას და მიისწრაფის შექმნას სრული თანხმობა თავის გარშემო მცხოვრებ ერებთან—მეზობლებთან. მან დიდი ხანია რაც იარაღი გვერდზე გადასდო და აღჭურვილი კაცობრიული იდეებით მზად არის ყველას მეგობრული ხელი გაუწოდოს და ყველასთან შეთანხმებით იმუშაოს. ეს აშკარად გამოჩდა სომეხთა და საქართველოს უკანასკნელ კონფლიქტის დროს, როდესაც საქართველომ გამოიჩინა დემოკრატიული მრთელი გონიერება და მიმართა თანხმობისა და უიარაღოთ დავის გადამწყვეტ გზას. საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით ბ. ნ. ვ. რამიშვილის წინადადება, რომლითაც მან მიმართა სომხეთს, აღერბეიჯანს, მთიელთა კავშირს, დიდი პრაქტიკული ნაბიჯია ერთა შეთანხმება-ერთობისაკენ. გადადგმული აქ არ გაისმის იარაღის ჟღარუნი, პირიქით, აქ მშვიდობიანი სიტყვაა, აქედან გაგაზვნილია ზეთისხილის შტო.

მოწინავე კულტურული ქვეყნები ამ შტოს ეტრფიან. ევროპა აქეთ მიილტვის და მას ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია და ვერ გაუნამდვილებია ხალხთა თავისუფლებისა და ერთობის იდეალი. განამდვილდება კი!

საქართველოც აქეთ ისწრაფვის და თავის მთელ ძალღონეს ამუშავებს, რომ სამშვიდობო და ერთა კავშირის ბრძოლა მოიგოს. სომხეთი, აღერბეიჯანი, მთიელთა კავშირი სდგას ამ პრობლების წინაშე და მათი ხმაც უნდა გაისმას. და ეს ხმა დადებითად უნდა სწყვეტდეს ამ საკითხს, ვინაიდან მხოლოდ დასტური და დამტკიცებული პასუხი შეათანხმებს კავკასიის ერებს და იქ, სადაც უფრო ფართოდ და ვრცლად დაისმება ეს საკითხი, მათ შეძლებას მისცემს ერთი ხმით ილაპარაკონ, ერთი მთლიანი ნება გაატარონ, დაიცვან თავისი თავი და ერთმანეთი.

ჩვენ უსათუოდ ზავის წინაშე ვდგევართ. და უნდა ვიჩქაროთ, რომ შეთანხმებული ნაბიჯით გავსწიოთ საზავო კონგრესისაკენ.

## ზავის წინ

საერთაშორისო მდგომარეობა ნერვებ დაჭიმული მიისწრაფის გამოერკვას სისხლის კოშმარისაგან და თავისუფლად ამოისუნთქოს.

დღეს არა, ხვალ უნდა გაიხსნას ბრძოლის ველზე სისხლით შეკრული ჯადო-კვანძი.

გამანადგურებელმა ომმა, რომელიც უზარმაზარ სალკლდესავით თავს დააწვა დემოკრატიას, დღეს არა ხვალ უნდა გადატეხოს გასისხლიანებული ხმალი.

ხალხი მოითხოვს ზავს. მოითხოვს სისხლის შეწყვეტას. მოითხოვს კეთილმშვიდობიან ცხოვრებას და თავისუფლებას. ძლიერი ხმა უკვე გაისმის და ყველა იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს.

გერმანიის და ავსტრიის დემოკრატიზაცია,—ერთი გიგანტური ნაბიჯი არის, რომელიც ზავისაკენ გადაიდგა. გერმანიის ახალი მთავრობა და ავსტრო-უნგრეთი მზად არიან ვილსონის დემოკრატიულ პლატფორმაზე ხელი მოაწერონ და წინასწარ ყოველგვარი გადამწყვეტი ზომები მიიღონ. ევროპის დემოკრატიის აზრი ერთსულოვნად შესტრფის ზავს და მიიწევს მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს ხალხთა ერთობასა და ძმობას. საზავო მიტინგები გერმანიაში, საზავო დემონსტრაციები საფრანგეთში და იტალიაში. დიდი ტრედ-უნიონის, მუშათა კავშირის საზავო დადგენილება ინგლისში—ცხადჰყოფს დემოკრატიის მძლე სურვილს, რომელიც მიმართულია ზავის დამკვიდრებისაკენ.

ხალხთა სწორუფლებიანობა, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, სადავო საკითხთა მშვიდობიანი გზით გადაჭრა—სამედიატორო სასამართლოს საშუალებით, ზღვათა თავისუფლების პრინციპის გატარება, შეთანხმება დროებით და სამუდამო განიარაღებაზე, მიმოსვლის თავისუფლების გარანტია და მუშათა ინტერნაციონალის უფლებათა შემუშავება — ასეთი არის სამომავლო პროგრესის გზა, რომლის რელსებზე კაცობრიობა საბედნიერო სისწრაფით უნდა გაქანდეს. ამას მოითხოვს გერმანიის დემოკრატია და ამას შეუერთდება ყველა ქვეყნის ხალხიც.

მხოლოდ იქიდან, სადაც ჯერ კიდევ ქვეყანას მთლიანად დემოკრატია არ დაჰპატრონებია, სადაც ჯერ კიდევ თვით ხალხი პირდაპირ არ ხელმძღვანელობს სახელმწიფოს, სადაც ჯერ კიდევ იმპერიალისტებს უკავიათ მართვა-გამგეობის სადავე, იქიდან არ მოისმის ოფიციალური ეს ხმა.

გერმანიის რეიხსტაგი და მისი მთავრობა მზად არის განახორციელოს დემოკრატიული საზავო პროგრამა. ამ მიმართულებით წინადადებას წინადადებაზე უგზავნის შეთანხმების სახელმწიფოთა მთავრობებს, მაგრამ ისინი დიპლომატიურად სიტყვის ბანზე აგდებით სცდილობენ კიდევ ომი გააჭიანურონ და ქვეყნები სისხლის ოკეანეში ჩაახრჩონ თავის უძირო ჯიბის ინტერესების გულისათვის.

მხოლოდ დემოკრატიის გაძლიერებულ ხმას შეუძლიან მათი ალაგმვა და ქვეყნის ინტერესებისათვის ზრუნვის მოთხოვნა. ეს ხმა არ დაიგვიანებს, და თუ დაიგვიანა, მაშინ მოწინაალმდეგე ეცდება გერმანიის დემოკრატია ფეხქვეშ გასთელოს. მაგრამ არ უნდა ივიწყებდნენ კი ცნობილ სოციალ-დემოკრატ ჰააზეს სიტყვას: „მოწინაალმდეგეს შეუძლიან ისეთი პირობები წამოგვიყენოს, რომელიც გერმანიის ხალხისათვის აუტანელი იქნება. ჩვენ გვსურს ზავი და ის ჩვენთვის კიდეც საჭიროა, მაგრამ ისეთს ზავს, რომელიც ჩვენი პატივის უარისმყოფელი იქნება და ჩვენი არსებობისათვის უფლების დახშობას მოისურვებს,—გერმანიის ხალხი უკანასკნელ შესაძლებლობამდე ბრძოლას არჩევს".

ცხადია, დღეს შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული ზავი და თუ ომი გაგრძელდება ადვილი მოსალოდნელია, რომ ომის საშინელ ქარცეცხლში დაემხოს ინგლის-საფრანგეთის და სხვათა გაჯიუტებული მთავრობა, ისე როგორც დაემხო გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის სამხედრო იუნკრული მართველობა.

დემოკრატია მოდის დასამკვიდრებლად და—გზა მას!

## ქართული პრესა

ტერიტორიის განსაზღვრის საკითხი ქართულ პრესაში სათანადო ყურადღებას იპყრობს. გაზეთი „ერთობა" ახასიათებს თვითმპყრობელობის პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო კავკასიაში ერთა აღრევის, ჩასახლების და ერთა შეჯიბრებისაკენ, რომელზეც იგი ამყარებდა თავის სიძლიერეს, და ბოლოს დასკვნის:

„ჩვენ დავიპყრეთ მთელი ტფილსის გუბერნია, მაგრამ ჩვენს მოქმედებას იმპერიალიზმი კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ სურვილი თავის დამოუკიდებლობის შერჩენისა. თუ ჩვენ ვიქნებით დარწმუნებული, რომ საქმე გვაქვს ისეთ სახელმწიფო ერთეულთან, რომლის მეზობლობა უზრუნველ ჰყოფს ჩვენს ტერიტორიას გარეშე ძალების შემოსევისაგან, რომ ტერიტორიალურათ საზღვრების გასწორება არ გადაიქცევა საშუალებათ ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დარღვევისა, ზავისა და მშვიდობიანობის დასაცველად ჩვენ უარს არ ვიტყვით საზღვრების ხაზის შესწორებაზე. მარგამ თუ ჩვენ ასეთი გარანტია არ გვექნა, თუ ჩვენ საზღვრებს ამით, როგორც ჩვენს ერს, ისე სადაო ტერიტორიის მცხოვრებთ საფრთხე მოელის, ჩვენ, როგორც დემოკრატიის წარმომადგენელნი ყოველის ღონით შევეცდებით დავიცვათ არსებითი ინტერესები ქართველი, სომეხი, ბერძენი და ყველა სხვა ერის დემოკრატიისა, რომელთა დაცვაც კი ჩვენთვის შესაძლებელი იქნება.

ვერც სომხის დემოკრატია იტყვის იმას, რომ მას უცხო ხელით გასრესა ურჩევნია საქართველოს ფარგლებში ცხოვრებას. და ინტერესი სომხის, ბერძნის და სხვა დემოკრატიის თდნავადაც არ შეიბღალება მათი საქართველოში ყოფნით, რადგან აქ მათ ექნებათ სრული მოქალაქობრივობა და მათი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა, თუ ამასთანავე ამით ისინი გარეშე საფრთხეს აიცდენენ".

მაგრამ ჩასწვდებიან და გაიგებენ ამას დაშნაკელები?

* * *

ზავი ახლოსაა. დღეს არა ხვალ უნდა დამკვიდრდეს იგი. ამის გამო გაზ. „სახალხო საქმე" ეხება საქართველოს და ამბობს:

თუმცა იურიდიულათ საქართველო ნეიტრალური ქვეყანაა, ეს ნეიტრალობა მან დამოუკიდებლობას პირველ დღესვე გამოაცხადა—მაგრამ ფაქტიურად ჩვენ მაინც ვერ დავაღწიეთ თავი ომის ფარგალს. ჩვენისთანა პატარა ერისათვის ეს თითქმის შეუძლებელიც იყო. მართალია ჩვენ პირდაპირ არც ერთს კოალიციაში არ ვიღებდით მონაწილეობას, მაგრამ ჩვენი სუსტი ეკონომიკა, ჩვენი მრეწველობა, სახელმწიფოებრივი განვითარება მოითხოვდა და მოითხოვს, რომ ჩვენს გარშემო ქაოსი არ იყოს, გვქონდეს საშუალება დიდ სახელმწიფოებთან პირდაპირის მიმოსვლის და ურთიერთობისა. დღეს კი კარჩაკეტილნი ვართ ძალა-უნებურად და საკუთარს წვენში ვიხარშებით. ამიტომ საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება ზავის ჩამოგდებას. რაც შეიძლება მალე ზავი, აი ჩვენი მიზანი. ამიტომ არის, რომ ჩვენ გულის ფანცქალით ვადევნებთ თვალყურს საზავო მოლაპარაკებისათვის ნიადაგის მომზადებას. მხოლოდ საერთო მშვიდობიანობა ჩააგდებს კალაპოტში ჩვენს ცხოვრებას და მხოლოდ მაშინ შეგვეძლება თავისუფალი შემოქმედებითი მუშაობა."

* * *

ათს ნოემბერს უნდა შესდგეს კავკასიის ერთა წარმომადგენლების კონფერენცია ყველა სადავო და საჭირბოროტო საკითხების გამოსარკვევათ. გაზ. „საქართველო" ამის შესახებ სწერს:

დღემდის საგარეო პოლიტიკაში ჩვენი მთავრობის მოქმედების ხაზი გარკვევით მიმართული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ და საგრძნობელადაც ნაბიჯი გადავდგით, ყოველი გადახვევა, ყოველი ღალატი ამ გზისათვის ჩვენი მომავლის დამღუპველი იქნებოდა. ნეიტრალობა და დამოუკიდებლობა ეს უნდა იყოს წინანდებურათ ორი ბჭე ჩვენი სახელმწიფოებრივ შემოქმედებისა. ყოველი შეთანხმება, იქნება ეს პოლიტიკური თუ ეკონომიური ხასიათისა, ამ ორ პრინციპს უნდა ეგუებოდეს, მათ ამაგრებდეს და ამკვიდრებდეს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობას და უმრავლესობის პარტიას სავსებით შეგნებული აქვთ ის მძიმე პასუხისმგებლობა ქართველ ერის წინაშე, რომელიც მათ ისტორიამ დააკისრა. ამიტომაც გვწამს, რომ მთავრობა საკმაო სიფრთხილით და წინდახედულობით იმოქმედებს მომავალ კონფერენციაზე, სძლევს შინაგან ინტრიგებს და მეზობლებთანაც გარკვეული პროგრამით ღირსეულად დაიცავს ქართველი ერის დამოუკიდებლობის დროშას.

ამავე დროს ჩვენ ღრმად დამრწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი მეზობლები დააფასებენ საქართველოს მშვიდობიან მისწრაფებათ, მხედველობაში იქონიებენ ჩვენ სამართლიან მოთხოვნათ, რაც გაგვიადვილებს მეგობრულ მეზობლურ თანამშრომლობას.

## სომხური პრესა

„აშხატავორი" სადავო მაზრების საკითხზე სწერს შემდეგს:

„ჩვენ უკვე გვაქვს ოფიციალური ცნობები, რომელიც შეძლებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, თუ საქართველოს მთავრობა როგორ ეპყრობა სადავო მაზრების საკითხს. უპირველესათ ყოვლისა, რამდენათაც არ უნდა იყვირონ სხვადა სხვა ბნელმა, და ვეშაპელურ კაცისჭამიობით აღჭურვილმა ჯგუფებმა და კერძო პირებმა, ერთი რამ ცხადია: რომ საქართველოს რესპუბლიკის მომქმედი ორგანო, რომლის უმრავლესობა, თუმცა ცუდი სოციალისტებისგან შესდგება, (შეხეთ დაშნაკელებს: ქართული ანდაზის თანახმათ სურს ფონს გავიდნენ—მეპრესე), მაგრამ შორსა დგას იმ აზრიდან, რომ შეიარაღებული ძალით გადაიჭრას სადავო საკითხები. მაგრამ იმავე დროს, საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადებანი და გარეშე საქმეთა მინისტრის პარლამენტში ნათქვამი სიტყვები გვიჩვენებს, თუ რამდენათ დაშორებულნი არიან ევროპეთწოდებული სოციალისტი მინისტრები სოციალიზმის და დემოკრატიზმის იდეებისგან. ბ—ნ. ვ. რამიშვილს განუცხადებია, რომ მთავრობა სადავო საკითხათ არ სთვლის და მთელ ტფილისის გუბერნიას საქართველოს ტერიტორიის კუთვნილებათ აღიარებს, რადგან იგი ხელმძღვანელობს ისტორიულ საქართველოს საზღვრებით და თავიანთ თავს კი სოციალისტათ სთვლიან!) (ოხ! რა დანაშაულობა არის!—მეპრესე) და წინადადებას აძლევს სომხეთის რესპუბლიკასთან მომხდარი კონფლიქტი გადაჭრას უპირველესათ ყოვლისა ურთიერთი თანხმობით, ან წინაამდეგ შემთხვევაში, არბიტრაჟით.

ამისთანა რამ რომ განეცხადებია ბოლგარეთს სერბიის შესახებ (როგორც 1912 წ.), ეს სავსებით მისახვედრი იქნებოდა, რადგან ბურჟუაზიულ მთავრობის გონებაში არასდროს არ შედის ხალხის სუვერენიტეტის ისეთი შემეცნება, რომელიც მოითხოვს ხალხის სურვილის ცნობას და იმისდაგვარათ მოქმედებას. მაგრამ, როცა ამ წინადადებას აძლევს საქართველოს მთავრობა, რომელიც თავის თავს სოციალისტათ სთვლის და ხშირათ პარტიულ ფორმულების გატარების დროს ხმა მაღლა უთითებს ერების (დიახ: ერების და არა სოფლის ნაჭრების!—მეპ.) თვითგამორკვევის პრინციპზე, ჩვენ გვრჩება მხოლოდ ჩვენი გულისწყრომის გამოთქმა.

არბიტრაჟს მოითხოვს საქართველოს მთავრობა სადავო ოლქებისთვის, ესე იგი, მესამე ძალა უნდა მოვიდეს და გადასჭრას სადავო საკითხი. სადღა დარჩა მაშინ ერების თვითგამორკვევის მოთხოვნილება, რეფერენდუმის იდეა, სუვერენიტეტის შემეცნება? (აი აღმოჩენა?—მეპ.)

ჩვენთვის სხვა და სხვა არბიტრაჟები, რომლებიც არ მომდინარეობს ხალხის სურვილისგან, არამედ გარეშე ძალის სურვილს უკარნახებენ, ხალხს, როგორც ნახირს, არ არის მისაღები. (საიდან დაასკვნეს, ნეტავი ეს?—მეპრესე), ეს ბურჟუაზიული ვიწრო და დამახინჯებული სურვილის ნაყოფია და არა თავისუფალი რევოლიუციონურ- დემოკრატიის მოთხოვნილება (sic!—მეპ.) ჩვენ მოვითხოვთ სადავო ოლქების შესახებ, რომ ხალხის ხმა და ნება იყოს მიღებული, როგორც უმაღლეს ორგანოს დადგენილება მის პოლიტიკურ ბედის მოსაწესრიგებლათ, ეს არის რევოლიუციის და დემოკრატიის სამართლიანი მოთხოვნილებანი".

—

რევოლიუციის და დემოკრატიის სამართლიანი მოთხოვნილება არა გვგონია მოითხოვდეს ერთა თვითგამორკვევის მაგივრათ ლორის, ჩხარის ან ონის ერთი ნაწილის „თვითგამორკვევას" და სომხეთზე ჰაეროვნათ მიკერებას. სად ერთა თვითგამორკვევა და სად სოფლის თუგინდ ათასი მოსახლის „თვითგამორკვევა"—რაა მათ შორის საერთო!

* * *

„აშხატავორი" ეხება ქალაქის თვითმართველობის გამგეობის მომავალ არჩევნებს და სწერს:

„კერენსკური დროებითი მთავრობის მიერ გამოცემულ კანონის თანახმად, იანვრის პირველში უთავდება ვადა ქალაქის გამგეობის წევრთ. ქალაქის გამგეობა ემზადება ახალ არჩევნებისთვის: ამზადებს შემდგენლების და ინსტრუქტორების კადრს, ცდილობს არჩევნებისათვის ფულების შოვნას, მაგრამ, იურიდიული თვალსაზრისით არჩევნების საქმეს მეტად გააძნელებს უაზრო კანონი საქართ. რესპუბ. ქვეშევრდომობისა, რომლის გასაგებად საჭიროა საგანგებო ორგანო, რომელმაც უნდა გაატაროს ეს ცხოვრებაში და აგრეთვე დაანაკლულებს უმაღლეს იურიდიულ ინსტანციის მიმართველების სიას. კანონის გატარება ხალხში უფრო საზრუნავი საგანია ქალაქის თვითმართველობისათვის.

მეორე მხრით, უკვე დაახლოვებით მაინც ნათლად ხდება მომავალ ქალაქის თვითმართველობის პარტიების პროპორციონალური სახე: ქართველ სოციალ-დემოკრატიამ, რომელმაც ინტერნაციონალის სახელის ქვეშ აწარმოვა ქალაქის ცხოვრებაში ყველაზე უფრო აგრესიული და შოვინისტური პოლიტიკა, რომელიც ხშირად ეწინაალმდეგებოდა ელემენტურ დემოკრატიზმის მოთხოვნილებას, რასაკვირველია, არ უნდა იქონიოს იმედი, რომ მომავალ ქალაქის თვითმართველობაში ეყოლება წევრების უმრავლესობა. მან წლის განმავლობაში გამოაშკარავა მხოლოდ ვიწრო ნაციონალური და პარტიული მიმართულება, გარდა ამისა, ქალაქის ეკონომიურ საქმეებში დაამტკიცა თავისი სრული უძლურება. ცარიზმის დროს ბურჟუაზიულ თვითმართველობამ უფრო დიდი და საგრძნობელი სარგებლობა მოჰქონდა, ვიდრე სოციალ-დემოკრატებისაგან შემდგარ ქალაქის გამგეობას. თავმომწონე მენშევიკურმა პარტიამ ნათლად დაამტკიცა თავისი შრომის უვარგისობა და ამისათვის საჭიროა თავისი ადგილი დაუთმოს სხვა სოციალისტურ პარტიას.

* * *

„მშაკმაც" გამოსთქვა თავისი აზრი 22 ნოემბერში მიჯნის დავის შესახებ.

„სამწუხაროა—ამბობს სხვათა შორის—ეს გაზეთი, რომ იმ დროს, როცა მთელი ქვეყნიერობა და დიდი სახელმწიფონი და მათი ხალხნი ელიან ზავის ჩამოგდებას და ეტრფიან მოისპოს ომი და ყველა სადავო საკითხები გადაიჭრას მშვიდობიანი გზით, გაისმა იარაღის ჟღარუნი ორ პატარა ერს შუა, და უფრო მეტათ სამწუხაროა ის, რომ ინციდენტის საბაბათ გამოვიდა მესამე ძალა, რომ კიდევ ერთი თავის საუკუნო მოღალატობისა და ველურობისა კვალი დასტოვოს თავის წარსულის წინ.

როგორც ვიცით, ოსმალეთი იძულებულია დასტოვოს ამიერ-კავკასია და გაიყვანოს თავისი ჯარები დაკავებულ ოლქებიდან. ლორში ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელი ერთდა იმავე დროს იტყობინებს, როგორც სომეხთა ჯარების უფროსს, აგრეთვე ქართველ ჯარების უფროსს, რომ მოვიდნენ და დაიჭირონ მისგან დატოვებული ალაგები. საეჭვოა, რომ საცა შეიარაღებული ძალები არიან და საქმე უნდა გადაიჭრას სამხედრო ძალით, ილაიმ სახელმწიფო საზღვრებში, იქ ადვილათ გაუგებრობანი იბადებიან და თვით შეტაკებაც ხდება. ეს ჩვენ კარგათ ვიცით ისტორიიდანაც.

და ოსმალეთის მთავრობამ, რომელსაც ბევრჯერ უცდია მაგისთანა საბაბების ძალა, ადვილათ წააჩხუბა ორი მეზობელი ერი. მისი მიზანი იყო გაუტეხოს სომეხ და ქართველ ხალხს სახელი, აჩვენოს ვითომ ქვეყანას, რომ ისინი ღირსი არ არიან დაუმოკიდებელ, თავისუფალ ცხოვრებისა, რომ მზათ არიან ომის დაწყებასა, და აწარმოონ იმპერიალისტური პოლიტიკა.

მაგრამ სიხარულით უნდა ითქვას, რომ დავა არ გამწვავდა და ორივე მხარე მივიდა იმ აზრზე, რომ მშვიდობიან გზით დააბოლაონ საზღვების დავა. მხოლოთ ბოლოს ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ სასურველი არ არის საზღვრების საქმისთვის გაიგზავნონ იმისთანა პირები, როგორც დროა ან ანდრანიკა, სჯობია დაინიშნონ, თუ მათი გაგზავნა საჭიროა, მოქალაქე პირები. მაშინ შესაძლებელი იქნებოდა შეტაკებების მოშორება.

## გერმანული პრესა.

### გერმანული უნივერსიტეტები და ქართველი სტუდენტობა.

საზოგადოდ ყველგან ცნობილია ის განსაცვიფრებელი დიდი ენერგია და შემოქმედებითი ნიჭი, რომელსაც გერმანიის უნივერსიტეტები იჩენდენ მეცნიერების ყოველ დარგში. მხოლოდ კიდევ უფრო მეტ განცვიფრებას იწვევს ჩვენში ის გარემოება, რომ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ბატ. ა. დირი „Kaukasische Post“-ის მე 69 №-ში, გერმანიის უნივერსიტეტებმა, გერმანიის პროფესორებმა და მეცნიერებმა უდიდესი ენერგია გამოიჩინეს ეხლა, ამ არა ჩვეულებრივ, მსოფლიო ომის ქარტეხილის დროსაც.

ბატ. ა. დირი ზემო დასახელებულ გერმანულ გაზეთის მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ გერმანიის მეცნიერებმა სრულიად ნაყოფიერად ისარგებლეს გერმანიაში სხვა და სხვა ეროვნებათაგან შემდგარ სამხედრო ტყვეების ყოფნით და შეისწავლეს ისინი დაწვრილებით ფონოგრაფიული მხრით, მათ შეუსწავლიათ ენები და დიალექტები ინგლისელების, ფრანგების, რუსების, იტალიელების, პორტუგალიელების, რუმინელების, ბასკების და მრავალ სხვ. დაუმზადებიათ უკვე ორი ათასზე მეტი პლასტინები. შეუსწავლიათ აგრეთვე ჩამოთვლილ ერების სახალხო სიმღერები.

გერმანიის მეცნიერებს არ დაუტოვებიათ უყურადღებოდ ჩვენი კავკასია და შეუსწავლიათ ერების ენები და დიალექტები.

ამ მსოფლიო ომმა ბევრი დიდი კულტურული ღირებულებანი გაანადგურა.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებაც ერთ წერტილზე გაიყინა, რადგანაც ყოველ სახელმწიფოში უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული მარტოოდენ ომზე და მისგან გამოწვეულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

ამიტომ ომის შემდეგ კაცობრიობა ისევე შეუდგება ცხოვრების ყოველი მხრით გამოკვლევას, მეცნიერების ყოველი დარგის გაფართოება-გაძლიერებას და უეჭველია, რომ ის ერი, რომელიც უფრო მიჩვეულია ენერგიულ მუშაობას გონების სამფლობელოში, ის ერი, რომელმაც შესძლო უძნელეს დროსაც კი თავისი უდიდესი უნარი გამოეჩინა ამ მხრით, მომავალში, ომის გათავების შემდეგ, როცა მშვიდობიანი ცხოვრების დროს ხელისშემწყობი ფაქტორები ბლომად იქნებიან, ეს ერი ესე იგი გერმანიის ერი თავის მეცნიერებით და უნივერსიტეტებით ბრწყინვალე მომავალს უქადიან მთელ კაცობრიობას.

გერმანულ-ქართულ კულტურულ საზოგადოებას მიუქცევია თავისი ყურადღება ამ გარემოებისათვის და გადაუწყვეტია ხელი შეუწყოს ქართველ სტუდენტების გერმანიაში გაგზავნის საქმე.

ამ მიზნის მისაღწევათ დასახელებულ საზოგადოებას აქვს ვისთანაც ჯერ არს მოლაპარაკება. საზოგადოება სცდილობს სტიპენდიების დანიშვნით და საზოგადოთ მატერიალური დახმარებით დაეხმაროს და გაუადვილოს ქართველ სტუდენტებს გერმანიაში წასვლა. მართალია ქართველი სტუდენტობა წინედაც არ იყო მცირე რიცხოვანი გერმანიაში, მხოლოდ გერმანელ-ქართულ კულტურული საზოგადოების განზრახვაა ეს რიცხვი რაც შეიძლება მეტად გადიდებულ იქნას.

ბ-ნი. ა. დირი იმ კეთილგავლენაზე და დიდ სარგებლობაზე, რომელსაც მოუტანს გერმანიის უნივერსიტეტები ქართველ სტუდენტებს, სწერს შემდეგს:

„ქართველი სტუდენტობა გერმანიის უნივერსიტეტში ნახავს მას, რასაც დღემდე ის ამაოდ ეძებდა რუსულ უნივერსიტეტში. ის მიეჩვევა დისციპლინარულ მუშაობას, ის სტუდენტების მღელვარებისა, ციმბირისა და პოლიციის მიერ უნივერსიტეტების დაკეტვისაგან სრულიათ უზრუნველყოფილი, შეიძენს მცოდნის უდიდეს და უმდიდრეს განძს თავის ერის და სამშობლოს სასარგებლოდ. ის შეისწავლის გერმანიას, იმ ქვეყანას, სადაც მეცნიერების ყოველ დარგში უდიდესი ინტესიური მუშაობა სწარმოებს. ის შეისწავლის მას, თუ როგორ უწყობს ხელს სულიერი მუშაობა თავის სამშობლო სიდიადის დამკვიდრებას.“

## რუსეთის აღდგენის საკითხი

IV

რუსეთის აღდგენის მოსურნე ფრონტთა შორის ყველაზე უფრო საინტერესო და ყურადღების მიმქცევია—სამარა-უფას ფრონტი და ჩეხო-სლოვაკების ბრძოლა.

ტყვე ჩეხო-სლოვაკები, რომელნიც კერენსკის მთავრობის დროს, პოლკებათ დაეწყო და 19 ივნისის შეტევაში მონაწილეობას ღებულობდენ,—ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ ბალშევიკურ რუსეთისათვის ზედმეტი ბარგი შეიქნა და როდესაც მათ ითხოვეს საფრანგეთის ფრონტზე გადასვლის საშუალება მიეცათ, და გაემგზავრენ კიდეც,—ამ დროს ლენინის მთავრობას მოუხდა ბრძანების გაცემა იარაღი აეყარათ მათთვის. ეს იყო საბაბი, რომელმაც ჩეხო-სლოვაკებსა და ბოლშევიკებს შორის ფრონტი გახსნა. თითქმის მთელ ციმბირის გზაზე გაწვდილი ჩეხო-სლოვაკთა რაზმები თანხმურად აღუდგენ ბოლშევიზმს,—და დახმარების ხელი მისცეს ანტიბოლშევიკურ მოძრაობას. უდავოა, რომ ამ შემთხვევაში შეთანხმების სახელმწიფოთა დიპლომატია შესაფერ მუშაობას ეწეოდა. ფაქტია, რომ ბრძოლა დაიწყო და ციმბირის მოწყვეტით ბოლშევიზმს მათ დიდი ზიანი მიაყენეს. ჩეხო-სლოვაკების ფრონტს მიაშურა ყველა ანტი-ბოლშევიკმა და დემოკრატია, რომელიც ბოლშევიზმს ებრძოდა, შეეცადა ჩეხო-სლოვაკურ მოძრაობისათვის შესაფერი ფორმა და პროგრამა მიეცა. დიდ ხანს სწარმოებდა ბოლშევიკებსა და ჩეხო-სლოვაკებს შორის ბრძოლა ისე, რომ ჩეხო-სლოვაკების მხრიდან მას გარკვეული ლოზუნგი არა ჰქონია. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მიეცა მას იდეური ხასიათი და საბრძოლველ დროშაზე დაეწერა შესაფერი ლოზუნგები,—ეს მას შემდეგ, რაც ამ ფრონტს ყურადღება მიაქცია ანტი-ბოლშევიკურმა დემოკრატიამ და თავისი ძალები ამ ფრონტზე საბრძოლველათ დარაზმა. უკანასკნელ თვეებში უკვე სავსებით ჩამოყალიბდა აქ დიდი ხნის წინათ დაწყებული მოძრაობა და მიეცა მას დამფუძნებელი კრების მოწვევის და რუსეთის აღდგენის ლოზუნგები. ბრძოლა ამ ფრონტზე გრძელდება. რომელიმე მხრის სავსებით დამარცხება მ ახლო მომავალში არაა მოსალოდნელი.

ძლიერ იშვიათად და კანტი-კუნტით მოდის ცნობები რუსეთიდან. ერთად ერთი წყაროა მოსკოვის რადიო-ტელეგრაფი, რომელსაც ბოლშევიკები პატრონობენ და ნათელია, რომ აქედან გადმოცემული ცნობები უსათუოდ ტენდენციური და დამახინჯებული იქნება. აშკარაა: ჩვენში მყოფს საშუალება ერთმევა სრული სისწორით და სინამდვილით გაიგოს, თუ რა ხდება შორეულ რუსეთში და ვერ შესძლებს სათანადოთ ადევნოს თვალი იქაურ მოძრაობას. მაგრამ იმდენი ცნობები მაინც მოიპოვება, რომ შესაძლებელია ზოგადათ იმის წარმოდგენა თუ რა ხდება და საით მიისწრაფის მოძრაობის გეზი.

ამ ახლო წარსულში ქალაქ სამარაში შესდგა დამფუძნებელ კრების დეპუტატების კრება, რომელთაც ამოირჩიეს ხელმძღვანელი კომიტეტი და აღჭურვეს სამოქმედო ინსტრუქციით. ინსტრუქციის მთავარი დედააზრი იყო დეპუტატების თავის მოყრა და დამფუძნებელი კრების საშუალებით რუსეთის აღდგენა. როგორც სჩანს, სამარას კომიტეტი დიდი ენერგიით შეუდგა ამ მძიმე და დიდ საქმეს. ეტყობა მან კავშირი გააბა სხვა და სხვა დროებით მთავრობასთან და შეეცადა მათ თავის მოყრას. ეს თავის მოყრა უკვე მოხდა ქალაქ უფაში, სადაც გაიხსნა ეგრეთ წოდებული „სახელმწიფოებრივი თათბირი ქალაქ უფაში“. აქ გამოცხადდა ციმბირის მთავრობის წარმომადგენელი პროფესორი საპოჟნიკოვი, დამფუძნებელი კრების დეპუტატთა კომიტეტის თავმჯდომარე ვოლსკი, ელტინელთა მთავრობის წარმომადგენელნი, „რუსეთის აღდგენის კავშირის“ წარმომადგენელი გენერალი ბოლდირევი, სოციალისტ-რევოლიუციონერთა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ზენზინოვი; ამავე თათბირზე წაკითხულ იქნა განცხადებანი: ორენბურგის, ასტრახნის, ურალის, ციმბირის, სემირეჩინსკის, ირკუტსკის და ენისეისკის ყაზახებისა. იყვნენ ერობის, ქალაქის, ოლქების წარმომადგენლებიც. თათბირში მონაწილეობას ღებულობდენ აგრეთვე შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენელნიც.

უფის თათბირზე დაესწრო სულ 223 წარმომადგენელი. პარტიულათ თათბირი ასე ნაწილდებოდა: („Вечеръ Москвы“ 6 ოქტომბერი)—მემარჯვენე ფრთა ეკავათ ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელთ. შემდეგი ფრთა ეკავათ ეგრეთ წოდებულ ნაციონალურ ცენტრს. ამ ორგანიზაციაში შედიან: ოქტომბრისტები, კადეტები, ნაციონალური ჯგუფების წარმომადგენლები. ამ ორგანიზაციის პროგრამა შეიცავს: რუსეთში შეზღუდულ ხალხთა ძალაუფლობის დამყარებას რუსეთის მოკრება-აღდგენას მთლიან ერთეულში ძლიერი, უპასუხისმგებლო-მთავრობის ხელმძღვანელობით, რომელშიც სამხედრო ელემენტი უმთავრეს როლს უნდა თამაშობდეს. მიუხედავათ იმისა, რომ ნაციონალური ცენტრის წევრთა რიცხვი იყო მცირე,—მას მაინც თათბირზე დიდი გავლენა ჰქონდა. რიცხვით დიდ ჯგუფს წარმოადგენდა „რუსეთის აღდგენის კავშირი“ ავქსენტიევის და არგუნოვის მეთაურობით, რომელნიც დიდ საკითხებში ნაციონალურ ცენტრთან თანხმდებოდენ. თათბირის მემარცხენე ფრთას წარმოადგენდა დამფუძნებელი კრების წევრთა სამარას კომიტეტი და ჩერნოვის მომხრე სოციალისტ-რევოლიუციონერები. სოციალ-დემოკრატიული „ედინსტვო“ და სახალხო სოციალისტები უთანხმდებოდენ ხოლმე „რუსეთის აღდგენის კავშირს“. სოციალ-დემოკრატი მენშევიკებიც თათბირში მონაწილეობას ღებულობდენ, მაგრამ მათი უმრავლესობა სრულიად რუსეთის მთავრობის შედგენაში აქტიურათ მონაწილეობას არ ღებულობდა. ამ გვარი შემადგენლობის თათბირმა მუშაობა დაიწყო. საით მიდიან? რას ესწრაფიან.

ვ. მთვძელი

## ბორჯომის მინერალური წყლები

(დასასრული)

1913 წლიდან 1917 წლამდის ე. ი. ხუთი წლის განმავლობაში ყველაზედ მეტი გაუტანიათ 1913 წელში, ომის წინ და ყველაზედ ნაკლები 1917 წელს ე. ი. რევოლიუციის წელში; ეს ადვილი ასახსნელია: რევოლიუციის დროს რუსეთი ანარქიამ მოიცვა, ტრანსპორტის და მისვლა-მოსვლის საშუალებანი მოისპო, თვით რუსეთი, რომელიც ბორჯომის წყლის ერთი უდიდესი და საუკეთესო ბაზარი იყო, დანაწილდა და ამნაირად ბორჯომის წყლის ბაზარი არამც თუ შემცირდა, სრულიად მოისპო; ამ წლის იანვრიდან ბორჯომის წყლის დასამზადებელი ქარხანაც დაკეტილი იყო; ძველი დამზადებული წყალი საწყობებში 1.200,000 ბოთლამდის იყო და არსად არ გადიოდა; საჭირო იყო ამ ძველი წყლის გასაღება და ახალი წყლის დამზადება. კრიტიკული მდგომარეობა იყო. ერთის მხრით დღევანდელ პირობებში დამზადებული წყალი იმ მიზეზების გამო, რომელიც ჩვენ ზევით ავღნუსხეთ, რამდენად დიდხანს სძევს ბოთლებში ჩასხმული მით უფრო იცვლება მისი ბუნება და შემადგენლობა; მეორეს მხრით, სანამ ძველი წყალი არ გასაღდება, ახალი წყლის დამზადება სახიფათო იყო, და მასთან მუშების და მოსამსახურეების ჯამაგირებზედ აუარებელი ხარჯი მიდიოდა და ქარხანაში კი მუშაობა არ სწარმოებდა; პოლიტიკური მდგომარეობაც უნუგეშო იყო, ბორჯომის ხეობაში მტერი შემოჭრილი იყო და მის განადგურებისათვის ემზადებოდა, არა მარტო ბორჯომის წყალი, მთელი ბორჯომის მამულის ძვირფასი ქონება კიდევ მეტი საზრუნავი იყო, რასაც მაშინ ხელმძღვანელობდა ავადმყოფობისაგან დასუსტებული მინისტრი ხომერიკი. ძალი და მოსვენება არ იყო ყოველნაირ ზომების მისაღებათ, რომ როგორმე ძვირფასი ქონება განადგურებისაგან გადარჩენილიყო და აი ასეთ პირობებში სამინისტრო იძულებული იყო ქებაძის ფირმას პირობებით შეჰკვროდა ძველი წყლის გაზიდვის შესახებ; ეს გარემოება შეკითხვის საგანი შეიქნა ეროვნულ-დემოკრ. მხრით ჩვენს ნორჩ პარლამენტში. ვითომ სახელმწიფო ქონების გაფლანგვა დაინახეს კონტრაგენტთან დადებულ პირობებში, ძველი წყლის გაყიდვაში. საქმე კი შემდეგში იყო: აპრილში დანიშნულ შეჯიბრებაზედ წყლის მყიდველი არავინ გამოცხადდა; საქმე კი სიჩქარეს მოითხოვდა იმ მიზეზების გამო, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ; მეორეს მხრით სად მოჩხდარა, რომ მწარმოებელი თავის ნაწარმოებს საჯარო ვაჭრობით ჰყიდდეს; ეს ეწინააღმდეგება მწარმოებლის და ნაწარმოების გაყიდვის ეთიკას; გაყიდული წყალი 1917 წელში დამზადებული იყო; მისი თვითღირებულება (себестоимость) გამოანგარიშებული იყო—ბოთლი წყალი 40—45 კაპეიკამდის ღირდა; მაგრამ 1918 წლის აპრილში ეს თვითღირებულობა უნდა გადიდებულიყო იმ კაპიტალის პროცენტების დამატებით, რომელიც დახარჯული იყო წყლის დამზადებაში, მუშების და მოსამსახურეების ჯამაგირებით, იმ ხნის განმავლობაში, როცა ისინი არ მუშაობდნენ და სხვა და სხვა ხარჯებით, ასე რომ ამ დროს ბოთლის წყლის თვით ღირებულება ექვს აბაზამდის აღწევდა; თუ ამ ფასზედ ნაკლებათ გაიყიდებოდა ბოთლი წყალი; ეს ზარალი იქნებოდა და სწორედ როცა ზოგიერთ კაპიტალისტებს თვრამეტ შაურათ უნდოდათ ამ წყლის ხელში ჩაგდება, ისინი სამინისტროს ზარალს უმზადებდნენ; რაც მეტათ გაიყიდებოდა წყალი ექვს აბაზზე ზევით, მით უფრო მეტი მოგება იქნებოდა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ეს ზედმეტი მოგება ისევ წყლის მომხმარებელს დააწვებოდა კისერზედ; დღეს კონტრაგენტი 1 მან. 30 კაპ. ნაყიდ წყალს ორ მანეთად ჰყიდის ბოთლს, რაც დღევანდელ პირობებში სულაც არ ჩაითვლება ძვირათ, როცა საქონლის გადაზიდვის ტარიფი 200% გაადიდეს და სხვა საგნებიც ერთი ათად გაძვირდა. სამინისტროს კი წმინდა მოგებას ორ შაურზედ მეტს აძლევს ბოთლში. მასთან მან წყლის საღირალი წინდაწინ იმდენი გადიხადა, რომ წყალი ამ საღირალის მესამედიც ვერ გაუტანია ჯერ; მაგრამ ეს სხვათა შორის საერთოდ კი ჩვენ ყოველთვის იმ აზრის ვიყავით, რომ მთავრობამ თვითონ უნდა ჰაწყოს ბორჯომის მიხერ. წყლის ექსპორტიც ისე, როგორც მის ხელშია ამ წყლის დამზადების ტეხნიკური მხარეც; საზღვარგარეთ: ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვ; სადაც მინერალი წყლები სახელმწიფოსთან თვითმართველობებს ეკუთვნის, ამ წყლების ექსპორტიც მათი საქმეა. ასე უნდა იყოს ჩვენშიც მომავალში. ეჭვს გარეშეა, რომ ომის დამთავრების შემდეგ და პოლიტიკურ და ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესობის შემდეგ, როცა ტრანსპორტის და მისვლა-მოსვლის საქმე ნორმალურ პირობებში ჩადგება, ბორჯომის წყლის მოთხოვნილება ერთი-ორათ გაიზრდება; რადგანაც დღევანდელმა ომმა და სასურსათო კრიზისმა ხალხი დაასუსტა, დაასნეულა, ნერვიული და კუჭის ავადმყოფობა გაავრცელა და რაღა თქმა უნდა ბორჯომის სამკურნალო წყალი დიდი მოთხოვნილების საგანი იქნება; ბორჯომის წყალს შეუძლიან, ახალი ბაზარი იშოვოს აზიის ქვეყნებში, ბალკანეთში და განსაკუთრებით კი ამერიკაში, სადაც რესტორანული ცხოვრება განვითარებულია და ამის მიზეზით გამოწვეული კუჭის ავადმყოფობაც; მინერალური წყლებით კი ამერიკა ღარიბია. კიდევ 1917 წელში ამერიკაში გაუტანიათ 200.000 ბოთლი ბორჯომის წყლისა; აი ამ შემთხვევისათვის ჩვენ ყოველთვის მზათ უნდა ვიყოთ; აგერ შვიდ თვეზე მეტია წყლის დამზადება არ ხდებოდა, მის ქარხანაში მუშაობა შეჩერებული იყო, მუშები და მოსამსახურეები ჯამაგირებს იღებდენ, მაგრამ ჩვენთვის არავითარ ღირებულებას არ ჰქმნიდენ. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა და მამულის მიმღებმა კომისიამ გადასწყვიტა აგვისტოდან დაეწყო წყლის დამზადება, მაგრამ რადგანაც პირობები ისეთი იყო, რომ წყალი ბლომად ვერ გასაღდებოდა, ჯერ-ჯერობით წყლის დამზადებაც შემცირებული მასშტაბით უნდა დაწყებულიყო, რისთვისაც საჭირო იყო მუშების და მოსამსახურეების შტატის შემოკლებაც; მაგრამ მუშებთან მოლაპარაკებადა მათი შტატის შემოკლებაზე დათანხმება მეტისმეტათ ძნელი შეიქნა. ასეა თუ ისე დღეს წყლის დამზადების ქარხანაში მუშაობა განახლებულია 18 აგვისტოდან, თუ სხვა რაიმე გარემოებამ კიდევ ხელი არ შეუშალა და წარმოება არ შეაჩერა.

სამთო ინჟ. ი. მეძმარიაშვილი.

## საქართველოს შესახებ.

საქართველოს გარშემო რუსეთში საშინელი ატმოსფერაა შექმნილი. აქედან წასული რუსის ჩინოვნიკები მთელი თავისი ღონით აგიტაციას ეწევიან საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და სცდილობენ ლაფში ამოსვარონ მისი უმწიკვლო სახელი. თუ რამდენად მიაღწიეს მიზანს შოვინისტ შავრაზმელებმა ეს სჩანს იმ წერილიდან, რომელიც მოათავსა დონ-ყუბანიდან დაბრუნებულმა გ. ს. მაისუ-

რაძემ გაზ. „ერთობაში“. ბ. ს. მაისურაძე იქ წასული იყო სურსათის საქმის მოსაგვარებლად და ჩვენი თანამემამულენი ასეთნაირად შეხვდენ მას:

„ჩვენმა თანამემამულეებმა გაკვირვებით შემოგვხედეს და საყვედურის კილოთი გვითხრეს: „გვაკვირვებს თქვენი ამბავი!—ლამის გუდანაბადი ავიკრათ და აქედან ყველანი წავიდეთ, თქვენ კი აქედან ფქვილის წაღებაზე ასე არხეინად ლაპარაკობთ!.. ნუ თუ მართალია ყოველივე ის, რასაც აქ სწერენ და ლაპარაკობენ? ნუ თუ ისე გაბარბაროსდა ქართველი ხალხი და მით უფრო ქართველი დემოკრატია, რომ ყოველივე იმას იქ, თავისუფალ საქართველოში—ადგილი აქვს, რითაც აქ დღე მუდამ ცხვირს გვიხვრეტენ აქაურ ქართველებს? ჩვენ მოწყვეტილი ვართ, არ ვიცით რა ხდება საქართველოში, არავითარ ცნობას არავინ არ გვაწვდის და იძულებული ვართ მოვისმინოთ და ავიტანოთ ყოველივე ის, რასაც ჩვენ სამშობლოზე და ნორჩ რესპუბლიკაზე სწერენ და გველაპარაკებიან... დარჩით ერთ ორ დღეს აქ და საკუთარის ყურით მოისმენთ და საკუთარის თვალით დაინახავთ, თუ რა ატმოსფერაა აქ შექმნილი ქართველების შესახებ. ჩვენ გვაბრალებენ სუყველაფერს: რომ დიდი რუსეთი ერთმა მუჭა ქართველებმა დაანგრიეს, რომ ჩვენ მივითვისეთ რუსეთის აუარებელი ქონება, რომ ჩვენ უწყალოთ ვერეკებით რუსებს და სომხებს საქართველოდან. გვაგინებენ და გვლანძღავენ ყველგან: ქუჩაში, რესტორანებში, ტრამვაის ვაგონებში; პრესაში ხმა ვერ ამოგვიღია, ჩვენს წინააღმდეგ ისეთი მოშხამული აგიტაცია სწარმოებს, რომ „პოგრომისაც“ კი გვეშინიან!

არ იფიქროთ, რომ ყოველივე ნათქვამი გადაჭარბებული იყოს ან მოგონილი, ჩვენ ხელთა გვაქვს აუარებელი გაზეთები და ამონაჭრები, რომელნიც დაამტკიცებენ ყოველივე ჩვენს ნათქვამს“,—ასე დააბოლოვა სიტყვა ბ-ნმა მაისურაძემ.

მართლაც, დონისა და ყუბანის ოლქებში ვერ ნახავთ ვერც ერთ გაზეთს, რომ არ იყვეს რაიმე ყალბი ცნობა და ჭორი საქართველოს რესპუბლიკაზე და მის მთავრობაზე მოთავსებული. ერთი და იგივე ჭორი იბეჭდება რამდენიმეჯერ, რომ წაუშლელი შთაბეჭდილება დასტოვოს მკითხველზე. მთელ დონის ოლქში არც ერთი დემოკრატიული გამოცემა არ გამოდის, რომ საშუალება მიეცეთ იქაურ ქართველებს რაიმე პასუხის გაცემისა.

მერე ვინ არიან უმთავრესი მიზეზნი ამოდენი ღვარძლის ნთხევისა? ვინ და სომხის ვაჭარ-შოვინისტები ბ-ნ გრ. ჩალხუშიანის მეთაურობით. ყოფილი ხულიგან-ბიუროკრატჩინოვნიკები... უმთავრესად კი სომხის შოვინისტები, რომლებმაც ოსმალეთის სომხეთში დაღუპეს სომხის ხალხი და ახლა უნდათ ესევე ბედი მიაკუთვნონ ამიერ-კავკასიის სომხის დემოკრატიასაც—რაც მათ ბაქოში უკვე ჩაიდინეს—ამ ვაჟბატონებს ვერ მოუნელებიათ საქართველოს დემოკრატიული მართვა-გამგეობა და ყოველ საზიზღარ საშუალებას ხმარობენ რამენაირად იგი დაანგრიონ“.

ამავე მიზანს, უნდა ვსთქვათ, ემსახურებიან არა მარტო აქედან წასული ჩინოვნიკობა, არამედ აქ მოკალათებულნიც, რომელნიც თავის გაზეთის ფურცლებზე აშკარათ ილაშქრებენ საქართველოს წინააღმდეგ და როდესაც პარალელი გაჰყავთ საქართველოსა და დონ-ყუბანის შორის, სწერენ, რომ აქ ფეხქვეშ გათელილია დემოკრატიზმი, რომ აქ ადმინისტრატული თვითნებობაა გამეფებული და იქ კი თავისუფლება და დემოკრატიზმი ბატონობსო. ამას სწერდა გუშინ გაზეთი „რეჩი“. და განა მართალია ეს? რასაკვირველია, არა. და თუ მართალი არ არის,—ეს მხოლოდ იმიტომ იყო დაწერილი, რომ ხელი გაეწოდათ დონელ შავრაზმელებისათვის და მეტი ყალბი მასალა მიეცათ მათთვის ჩვენს წინააღმდეგ. მოვუსმინოთ ბატონ მაისურაძეს:

„მთელ დონის ოლქში დემოკრატიული აღარა არსებობს რა—სოციალისტურზე ხომ ლაპარაკიც მეტია: სიტყვა „რესპუბლიკა“, „ამხანაგო“ და „წითელი დროშა“ აქ კარგა ხანია „მოდიდან“ გამოსულა—ლეგალური ორგანიზაციები აღარ არსებობენ. ყოველისფერი დანგრეულია—წარსული თავისუფლების აქ მხოლოდ მოგონება ღაა. ეს კარგათ უნდა დაიხსომოს ქართველმა დემოკრატიამ და განსაკუთრებით უნდა უმადლოდეს ჩვენ სახალხო გვარდიას.—რომელმაც შესძლო საქართველოში რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება.

დონისა და ყუბანის ოლქებში ცხარე შეტაკებები ბოლშევიკებსა და დონის ყაზახთა შორის ჯერ კიდევ სწარმოებს. ყაზახებს ეხმარება „მოხალისეთა ჯარი“. სტანიცებში მრავალ ლაგას საყდრის გუმბათები დახვრეტილია ყუმბარებით. როდის მოეღება სამოქალაქო ომს ბოლო, არავინ იცის!

ყაზახებს და „დობროვოლცელებს“ იარაღი და ტყვია-წამალი ნაკლებათ აქვთ... ჩინელ მუშებს მთელ დონის ოლქში იჭერენ და საზღვრებიდან ერეკებიან, რადგან უკანასკნელნი ბოლშევიკებს ემხრობიან. მიუხედავათ ზემო მოყვანილისა, მაინც შესაძლებელია ყუბან დონიდან ფქვილის და ზოგიერთ საგნების გამოტანა, ამისათვის აუცილებლად საჭიროა იქ გაიგზავნოს მცოდნე პირები და ერთ თვეს მაინც უნდა დარჩნენ იქ.

სამი დღე როსტოვში ყოფნის დროს, საიდაც-კი ხმა მიგვიწვდა, ვაძლევდით ცნობებს საქართველოს შესახებ და ვაბათილებდით ყალბ ხმებს“.

მადლობა ეთქმის ასეთ სამსახურის გაწევისათვის ბ. მაისურაძეს, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა უფრო რადიკალური ზომის გამონახვა, რომ რუსეთს ჩვენს შესახებ მისწვდეს სიმართლე-სისწორის ხმა. ეს აუცილებელია. უნდა გაიფანტოს ის მომშხამვლელი ატმოსფერა, რომელიც ჩვენს შესახებ იქ შექმნილია და ამისათვის საჭირო ზომებს უნდა მივმართოთ.

## ადერბეიჯანის ნოტა ბაქოს შესახებ.

სტამბოლის გაზეთებში დაბეჭდილია საგულისხმიერო ნოტა, რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებში წარუდგინა გერმანიის ელჩს ადერბეიჯანის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე ბ. რასულ-ზადემ; ნოტის ასლი გაეგზავნა აგრეთვე ცენტრალურ და ნეიტრალურ სახელმწიფოებს, ნოტა, გარდა გერმანიისა და რუსეთ შორის დადებულ ხელშეკრულობისა, შეიცავს ბევრ ცნობებს ბაქოს ისტორიის შესახებ, რომლის მიზანია დაამტკიცოს, რომ ბაქო ისტორიულათ ადერბეიჯანს ეკუთვნის. ეს ისტორიული უფლება დამყარებულია გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ეკონომიურ საფუძველზე. გარდა ამისა, ნოტაში ნაჩვენებია, რომ ბაქო დაკავშირებულია ადერბეიჯანის ხელოვნებასთან, მეცნიერებასთან და ცივილიზაციასთან, რასაც ამტკიცებს ბაქოში არსებული ოსმალთა პოლიტიკური, სოციალური და საქველმოქმედო დაწესებულებანი.

ნოტა იწყება გაკვირვებით, რუს-გერმანეთის ხელშეკრულების გამო, რომელშიაც ხალხის თვითგამორკვევის პრინციპზედაც კი არის ლაპარაკი. „ვემყარებით რა იმ პრინციპს, რომელიც აღიარებულ იქნა რუსეთის რევოლიუციის მიერ და დადასტურებული ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობით და რომელიც ანიჭებს ყველა ერს თვითონვე განაგოს თავისი ბედი, ადერბეიჯანის ხალხი ენდო ცენტრალ სახელმწიფოების კეთილ-განწყობილებას და მოიცილა რა თავიდან რუსეთის ბატონობა, თავის თავი დამოუკიდებლათ გამოაცხადა. ადერბეიჯანის ხალხი ძალზე აღელვებულია იმის გამო, რომ გერმანიის მთავრობამ დიპლომატიური თანხმობა განაცხადა, რათა ისევ რუსეთის ხელში დარჩეს ადერბეიჯანის დედა ქალაქი ბაქო, რომელიც ითვლება ხალხის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრათ. დასასრულ ნოტაში გამოთქმულია იმედი, რომ გერმანია, სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს ადერბეიჯანის ხალხის უფლებებს და ბაქოს ადერბეიჯანის ქალაქათ აღიერებს.

## საქართველოს სამუსიკო საზოგადოება

რა მიზანს ემსახურება ეს საზოგადოება და გვესაჭიროება იგი თუ არა? საზოგადოებას წესდებაში აქვს: საზოგადოება არსდება იმისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გაავრცელოს საერთო და სპეციალური ცოდნა მუსიკისა და მოამზადოს მოსწავლე ახალგაზდობა უმთავრესად ადგილობრივ ქართულ მუსიკის განსავითარებლად ხელოვნების ნიადაგზე.

ამ საგნის განსახორციელებლად აარსებს კონსერვატორიებს, სპეციალურ სასწავლებლებს, სტუდიებს, აწარმოებს საოპერო სეზონებს, გამოსცემს როგორც უცხოელ, აგრეთვე ქართველ ავტორთა სამუსიკო თხზულებებს, პერიოდულ გამოცემებს, ჰკრეფავს და იცავს ქართულ მუსიკის ნიმუშებს და ლიტერატურას, როგორც საეროს, აგრეთვე სასულიეროსაც. დრო-გამოშვებით მართავს შეჯიბრებას საუკეთესო ნაწარმოებისას, მართავს წარმოდგენებს, საღამოებს და სხვა საჯარო გასართობებს თავის თანხის გასაძლიერებლად. აარსებს სანოტო ლიტოგრაფიას და ნოტების და სპეციალ წიგნების მაღაზიებს. აძლევს უნიჭიერეს ახალგაზრდათ სტიპენდიებს და ერთდროულ დახმარებას, აგრეთვე შემწეობას აღმოუჩენს დამსახურებულ ქართველ მოღვაწეთ მუსიკის სფეროში. აარსებს თავშესაფარებს, უნიშნავს პენსიებს, იცავს წევრების საავტორო და საპროფესიო უფლებებს: საჭიროების დროს ქირაობს სათეატრო შენობებს, საკონცერტო დარბაზებს და სხ. საზოგადოება აღჭურვილია სრულის იურიდიული პიროვნების უფლებით.

ხელოვნების სექციის მიერ ეს წესდება დამტკიცებულია მარტის 2-ს 1918 წ.

სექტემბრიდან შეუდგა გამგეობა თავის მოვალეობას. რა გააკეთა ამ მოკლე ხანში და გამოიჩინა თუ არა ცხოვრების უნარი. უპირველესად გაეროვნა—გააფართოვა მასწავლებელთა და მოწაფეთა რიცხვი სამუსიკო სკოლაში. დაარსა თავის სიმებიანი კვარტეტი და გამოაცხადა საჯაროდ ციკლი კონცერტებისა ორ სერიად საინტერესო პროგრამით: გერმანულ, რუსულ, ფრანგულ, სკანდინავიის და ქართულ მუსიკისა. ამასთანავე ექვსი კონცერტი-კვარტეტი გაიმართება სრულებით უფასო ახალგაზრდობისათვის მათ ესთეტიურ გრძნობის განსავითარებლათ. გადაწყვეტილია შეუდგნენ ხალხისათვის ზუბალოვის თეატრში პერიოდულად გაიმართოს კონცერტები და ლექციები ქართულ მუსიკის გასაცნობათ.

გამგეობა შეუდგა ქართულ ოპერის წარმოებას. რადგან ქართველებს თითქმის არა გვყავს მომზადებული მომღერლები, ამისათვის სამუსიკო საზოგადოებამ დაარსა მომღერალთა სტუდია სკოლასთან, რომ მოამზადოს ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა ქართულ ოპერებისათვის. ამასთანავე ახლო მომავალში გაჰმართავს მთავრობის თეატრში ქართულ ოპერის წარმოდგენებს. შეუდგა ქართულ მომღერალ გუნდის მოწყობას ვრცელ გეგმით. ე. ი. დააარსოს მთელ საქართველოს ტერიტორიაზე „მომღერალთა გუნდის საზოგადოება“, როგორც ფინლიანდიაში და რიგაში არსებობს.

სამუსიკო საზოგადოებამ არ დაივიწყა ბავშვებიც. დაარსა მთელ ხმელეთზე განთქმული ჟაკ-დალკროზის ინსტიტუტის განყოფილება ბალღების მოსამზადებლად და მათ კულტურულ გასართობათ.

ამ ინსტიტუტმა მთელი ევროპის ყურადღება მიიპყრო თავის სერიოზულ და გონივრულ შინაარსით. ეს ნაბიჯი მეტად საყურადღებოა ჩვენთვის.

სამუსიკო საზოგადოებამ დიდი მეცადინეობა გამოიჩინა ჩვენ მუსიკალურ ლიტერატურის შექმნის საქმეში: გამოაცხადა კონკურსი ქართულ კვარტეტის პირველ პრემიათ 1500 მ. მეორე—1000 და მესამე—800 მ.

აარსებს სამუსიკო სკოლებს ქ. ქუთაისში და ქ. თელავში. და სხ.

ჩვენი საზოგადოება კი აქამდის შეცდომით სთვლის „სამუსიკო საზოგადოებას“ ყოფილ საფილარმონიო სკოლად. სკოლა და კონსერვატორია წარმოადგენს მხოლოდ სასწავლებელს. კონსერვატორიას აქვს თავის შემოფარგლული პროგრამა, როგორც უმაღლეს სამუსიკო აკადემიას.

ქართ. სამუსიკო საზოგადოება-კი განაგებს მთელ საქართველოს მუსიკალურ კულტურის ვითარებას.

გურჯაანელი.

## იუსტიციის სამინისტროში

**სამომრიგებლო ინსტიტუტის რეფორმის გამო.**

იუსტიციის მინისტრმა ქაღალდი გაუგზავნა ტფილისის ქალაქის თავს და ქ. ტფილისის საბჭოს თავმჯდომარეს, რომლითაც მიაქცევს მათს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ 1918 წ. სექტემბრის 24-ის კანონის ძალით როგორც უბნის, ისე საპატიო მომრიგებელი მოსამართლენი აირჩევიან მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომთა რიცხვიდან და მოვალენი არიან ყოვლის უმიზეზოდ აწარმოვონ საქმე სახელმწიფო ენაზე.

ამისდა კვალად ქ. ტფილისის საბჭოს შეუძლიან აირჩიოს მომრიგებელი მოსამართლეები მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომთაგან და ისიც ისეთებისაგან, ვინც სახელმწიფო ენა იცის.

**სამინისტროს კანცელარიის გაეროვნება.**

როგორც უკვე ეუწყა საზოგადოებას, იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის სრული გაეროვნება მოხდა. ნოემბრის 1-დან სამინისტროს ყველა დაწესებულებანი მოვალენი არიან ყოველგვარი მიწერ-მოწერა აწარმოონ სამინისტროსთან მხოლოდ სახელმწიფო ენაზე.

**სასამართლოს გაეროვნება საქართველოში.**

იუსტიციის მინისტრმა ოქტომბრის 30-ს შემდეგი ცირკულიარული ბრძანება გასცა რესპუბლიკის სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებისადმი:

„ვინაიდან საქართველოს პარლამენტის დადგენილებით ქართული ენა სახელმწიფო ენად იქმნა გამოცხადებული, წინადადებას ვაძლევ რესპუბლიკის სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებას, რათა ქართულად დაწერილ ყოველ ქაღალდის მიღება სავალდებულო იყოს მათთვის.

ამასთანავე ვავალებ სასამართლო უწყების დაწესებულებათა უფროსებს, რათა, საცა შესაძლებელია, საქმის წარმოება დაუყონებლივ ქართულად დაიწყონ და ყოველს შემთხვევაში დღეიდანვე შეუდგნენ სამზადისს და თადარიგს იმისთვის, რომ მომავალ 1919 წ. იანვრის 1-დან ყოველი საქმე, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლისა, აღნიშნულ რიცხვის შემდეგ დაწყებული, სწარმოებდეს მხოლოდ ქართულად. ხსენებულ რიცხვის შემდეგ რუსულად იწარმოება მხოლოდ 1918 წლის გასვლამდე დაწყებული საქმეები მათ დამთავრებამდე.

ბრძანება ესე არ ეხება 1918 წ. სექტემბრის 24 კანონის ძალით არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთ, რომელთაც ხსენებული კანონის მიერ დავალებული აქვთ სახელმწიფო ენაზე წარმოება დღიდან თანამდებობის მიღებისა.

ამა ბრძანების სათანადო აღსრულება ევალებათ ყველა დაწესებულებათა უფროსებს.

**მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის მსურველთა საყურადღებოდ.**

იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, სამინისტროს კანცელარია აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობის მიღება ჰსურს, რომ სამინისტროში მიცემული თხოვნები მომრიგებელ მოსამართლედ დანიშვნის შესახებ სამინისტროს მიერ განხილული არ იქნებიან და ამიერიდან სულაც აღარ მიიღებიან სამინისტროს კანცელარიის მიერ. მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობის მთხოვნელთ, მიუხედავად იმისა, შეტანილი აქვთ მათ ამის შესახებ თხოვნა სამინისტროში თუ არა, უნდა პირდაპირ მიჰმართონ თავისის შუამდგომლობით სათანადო ქალაქის საბჭოს ან მაზრის ერობას, რომელთაგანაც არის დამოკიდებული ასეთ თხოვნების დაკმაყოფილება.

სამინისტროთა დირექტორების თათბირმა ოქტომბრის 29-ს დროს შესაფერად სცნო, რომ ამიერიდან ყოველგვარი მიწერ-მოწერა სამინისტროთა შორის უნდა სწარმოებდეს აუცილებლივ სახელმწიფო ენაზე.

## კანონ-პროექტები.

**ფინანსთა სამინისტროს გადასახადთა კანონ-პროექტების წყება.**

I

**გადასახადი უკრაინიდან შემოსულ შაქარზე.**

ამ საქმის კეთილად დაგვირგვინების შემდეგ განზრახულია შაქრის მონოპოლიის შემოღება. თუ გინდ იმ ნორმის ნახევარი შემოვიდეს, რასაც ხარჯავენ მცხოვრებნი თვეში ე. ი. 50 ათასი ფუთი და თუნდ გადასახადი ფუთზე 1 მანეთი დაწესდეს წლიური შემოსავალი 24 მილიონ მანეთს შემოიტანს.

ეს კანონ-პროექტი მთავრობამ მიანდო საგარეო საქმეთა მინისტრს უკრაინის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად შაქრის გამოწერის შესახებ.

II

**ჯარისკაცთათვის უაქციზოთ მიცემის მოსპობა თამბაქოს ნაწარმოებთა, პაპიროზის ქაღალდის, წუმწუმის და სპირტის.**

დღევანდელ ჯარის შემადგენლობისდა მიხედვით ეს გადასახადი შემოიტანს არა ნაკლებ $1/2$ მილ. მანეთისა.

ეს კანონ-პროექტი პარლამენტის მიერ მიღებულ იქმნა 27 სექტემბერს.

III

**იმ ზომების შესახებ, რომელიც განზრახულია თამბაქოს შემოსავლიდან.**

შემოიტანს დაახლოებით 46 მილიონ მანეთამდე წლიურად ე. ი. 32 მილიონ მანეთით მეტს, ვიდრე 1917 წელს.

ეს კანონ-პროექტი მიღებულ იქმნა პარლამენტის მიერ და შესულია ძალაში 1918 წლის 1 სექტემბერს.

IV

**საექციზო უწყების გადაკეთების შესახებ.**

ეს კანონ-პროექტი შეტანილია პარლამენტში.

V

**სათამაშო კარტის მონოპოლია.**

შემოიტანს დაახლოებით 500000 მანეთს.

ეს კანონ-პროექტი შეტანილია პარლამენტში.

VI

**ჩაიზე და მის სუროგატთა ზედა აქციზის შემოღება.**

შემოიტანს 900,000 მანეთს.

ეს კანონ-პროექტი შეტანილია პარლამენტში.

VII

**ერთდროული გადასახადი შაქარზე.**

განზრახულია 2,8 მილ. მანეთი.

ეს კანონ-პროექტი პარლამენტში ჯერ არ განხილულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII

ბუფეტების ანგარიშებზე გადასახადების შემოღება.

განზრახულია 1,5 მილ. მანეთი.

ეს კანონ-პროექტი პარლამენტში ჯერ არ განხილულა.

IX

აქციზის გადიდება სპირტზე.

განზრახულია 1 მილ. მანეთი.

ეს კანონ-პროექტი მთავრობის მიერ მოწონებულია პარლამენტში შესატანად.

X

ღვინოზე აქციზის გადიდების შესახებ.

განზრახულია 28 მილიონი მანეთი.

ეს კანონ-პროექტი შეტანილია პარლამენტში.

XI

ნავთზე და მის ნაწარმოებზე გაჭრობის მონოპოლიის შემოღების შესახებ.

განზრახულია 50 მილიონი მანეთი.

ეს კანონ-პროექტი გადასახადთა ნაწილში ირჩევა.

XII

ზედამხედველ კომისიების ორგანიზაცია საქციზო წესდების დამრღვეველთა საწინააღმდეგოთ.

გარანტიას იძლევა არა პირდაპირ შემოსავალთა გადასახადთა (აქციზების) წესიერ შემოსავალს.

ეს კანონ-პროექტი ირჩევა გადასახადთა ნაწილში.

XIII

პირდაპირ გადასახადთა და შემოსავალთა გადიდების ზომების მისაღებად:

განზრახულია დაახლოებით 75 მილიონი მანეთი.

ეს კანონ-პროექტი წარდგენილია მთავრობასთან.

სულ კი შემოსავალი ყველა ზემოაღნიშნულ კანონ-პროექტებისაგან ნავარაუდევია 206 მილიონი მანეთი. შაქრის მონოპოლიასთან ერთად 24 მილ. მ. საერთოდ კი 230 მილ. მანეთი.

## სასურსათო საბჭო

26 ოქტომბერს, შესდგა საგანგებო კრება ცენტრალური სასურსათო საბჭოსი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ტფილისშია 250 ვაგონი და ფოთში 500 ვაგონი მარილი, რომლის განაწილება არ სურს თავის თავზე მიიღოს არც ქალაქს და არც კოოპერატივთა კავშირს, ტფ. ქალაქის თავმა ბ. ელიავამ განაცხადა, რომ ქალაქი თანახმა იქნება გაანაწილოს მარილი.

პრეზიდიუმმა განაცხადა, რომ მექარხნეები უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ კოოპერატივთა კავშირი საპონში თავის დროზე არ იძლევა ფულს. ამ საკითხის განხილვის დროს დაიბადა საკითხი საპონის ფასისა და მისი შეძენის შესახებ. კრებამ დაავალა პრეზიდიუმს ამ საკითხის შესახებ წარმოუდგინოს მომავალ კრებას დაწვრილებითი მოხსენება.

საბჭომ დაადგინა გადაეცეს კალბასის ქარხანა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირს, მისი მოსაწყობ ფასის გადახდის შემდეგ.

საბჭომ დაამტკიცა რწმუნებულად ქუთაისის გუბერნიაში ღალის შესაკრებად და სიმინდის შესაძენად ვ. ხოფერია, გორის მაზრაში კოჩინავა, ყუბანში პურის შესაძენად პ. მ. ჩინიჯევი და ნავთისათვის ბაქოში შესაძენად ინჟენერი კანდელაკი.

საბჭომ შეუძლებლად დაინახა საქონლის მიცემა, როგორც ცალკე კოოპერატივებისათვის, ისე იმ კოოპერატივებისათვის, რომლებიც შედიან კოოპერატივთა კავშირში.

ბ. ს. დარჩიას შეკითხვის გამო საბჭოსთან არსებულ საგანგებო რაზმის შესახებ, თავმჯდომარე არდიშვილმა განმარტა, რომ პრეზიდიუმმა ზომები მიიღო რაზმის შემცირების შესახებ და აგრეთვე აღძრა შუამდგომლობა სამხედრო მინისტრის წინაშე რაზმის ქართულ ჯარში გადარიცხვის შესახებ; ამის თანხმობა არის და რაზმის ლიკვიდაცია მალე მოხდება.

## დეპეშები.

ომი.

ბერლინი, 31 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრანპრიც რუპრეხტის არმია. ზომერგამთან, ლისზე ჩვენ მოვიგერიეთ ბელგიელთა იერიში. შელდის სამხრეთით და ომრმალსის ტყესთან დრო გამოშვებით საარტილერიო მოქმედებაა და ქვეითი ჯარის უმნიშვნელო ბრძოლა.

გერმანიის კრონპრინცის არმია. კატილიონის არხის და სექტორის სამხრეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. უაზის სამხრეთით დილით ადრე მოვიგერიეთ ფრანგების იერიში. ლანდიფუას აღმოსავლეთით ბრძოლაში თავი ისახელა მე-270 პოლკმა. მიუხედავათ იმისა რომ ამ ადგილებში მტერმა რამოდენიმეჯერ მოიტანა ძლიერი იერიში დიდძალი ჯარით და ჯავშნიანი ავტომობილებით, მტერმა მაინც ვერ გაიმარჯვა. მტერმა დროებით შესძლო ჩვენი პოზიციების დაჭერა, მაგრამ კონტრ-იერიშით ისევ დავიბრუნეთ ჩვენი პოზიციები. ნიზი-ლე-კონტსა და ენის შუა საარტილერიო მოქმედება გრძელდება.

გალვიცის არმია. მდ. მაასის ორივე მხარეზე საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა. ჰაერში მოქმედება გუშინ განსაკუთრებით ენერგიული იყო. ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 58 ჰაეროპლანი და 2 საბაერო ბალონი. ლეიტენანტმა დორმა ჰაერში მე-35 ჯერ გაიმარჯვა, ლეიტენანტმა აუფორატმა მე-30 ჯერ და ლეიტენანტმა ხანტელმანმა მე-25 ჯერ.

სტამბოლი. 31 ოქტ. სამხედრო ცნობა. ფრონტზე ღირსაღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა.

ბერლინი. 31 ოქტ. საღამოს სამხედრო ცნობა. ფლანდრიაში ბრძოლა განახლდა. გოლანდიის საზღვრებიდან შელდამდის, ლისის ფრონტზე მტრის იერიში მოვიგერიეთ. დრონზესა და შელდის შუა მტერი შემოიჭრა რამოდენიმე ადგილას, მაგრამ შევაჩერეთ. შატოპორსიენის ჩრდილოეთ-დასავლეთით, ენის მაღლობებზე ფრანგების ძლიერი იერიში მოვიგერიეთ.

იტალიისა და ავსტრო-უნგრეთის ზავი.

ვენა, 31 ოქტ. სამხედრო ცნობა. ჯარის უფროსებმა ჯერ კიდევ 29 ოქტ. გაგზავნეს წარმომადგენელი იტალიის ჯარის უფროსებთან. უნდა გამოვძებნოთ ყოველგვარი საშუალება, რათა შესწყდეს სისხლის ღვრა, საომარი მოქმედება და ჩამოვარდეს დროებითი ზავი. იტალიის ჯარის უფროსებმა პირველათ უარყვეს ჩვენი წინადადება და მხოლოდ 30 ოქტ. გენერალ ფონ-ვებარმა დეპუტაციის თანხლებით შესძლო შეთანხმება იტალიის უმაღლეს სამხედრო უფროსებთან და ბრძოლის ხაზის გადასვლა მოლაპარაკების დაწყებისათვის. თუ ამის შემდეგ იტალიის ფრონტზე კიდევ განახლდება საომარი მოქმედება, იმ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩვენს მოწინააღმდეგეს დააწვება. ხელს აწერს გენერალურ შტაბის უფროსი.

პოლონეთში.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ექიმ გლომბინსკიმ გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების სტატს-სეკრეტარს, ექიმ სოლფს, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „მაქვს პატივი ვაუწყო თქვენს აღმატებულებას, რომ მე მივიღე საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. მე მომავალში მუდამ ვეცდები კვლავ დავიცვა და განვამტკიცო მეგობრული განწყობილება მეზობელ სახელმწიფოთა შორის“. სტატს-სეკრეტარმა, ექიმ სოლფმა, შემდეგი დეპეშით უპასუხა: „მე მოწიწებით მადლობას ვწირავ თქვენს აღმატებულებას ამათვის 29 რიცხვის დეპეშისთვის, რომლითაც მატყობინებთ თქვენ მიერ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის მიღებას. მე მუდამ ვეცდები ჩვენ შორის კეთილშობილურ განწყობილების შენარჩუნებას.“

დამოუკიდებელი სახელმწიფონი

როგორც „ბერლინერ ტაგებლატი“ იტყობინება, კროაციის, სლოვენიის და დალმაციის დამოუკიდებლობის გამოცხადება საზღვრებში მოხდა. გამოცხადა, რომ კროაცის სამეფო, სლოვანია და დალმაცია დამოუკიდებელია და არავითარი კავშირი არა აქვს ავსტრიასა და ჰუნგრეთთან. ეს დებულება ამგვარად იქნა დაფასებული: „ჩვენ ვისწრაფით სამხრეთის ყველა სლავიანების გაერთიანებას მათ ეთნოგრაფიულ საზღვრებში, იზონცოდან ვარდარამდე ერთ სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. რადგანაც სლოვენია სამ-ტომიან სახელმწიფოს წარმოადგენს, ამიტომ მისი სახელმწიფოებრივი წესწყობილების ფორმა და კონსტიტუცია უნდა შეიმუშავოს დამფუძნებელმა კრებამ. ახალი სახელმწიფო აშენებულ იქნება დემოკრატიულ, ამ სამ ერთა ეროვნულ და სოციალურ თანასწორობის საფუძველზე.

ზაგრედის ეროვნული საბჭო იტყობინება, რომ სამხედრო კომენდანტმა ზუგრიდმა და ლანდვერის კომენდანტმა გენერალ მიხაილოვიჩმა მთელი თავისი შეიარაღებული ძალებით ეროვნულ კავშირს გამოუცხადა, რომ მზათ არის მას ემსახუროს. მთელი ლანდვერი და ოფიცრობა ეროვნულ საბჭოს ერთგულებაზე დააფიცეს.

როგორც ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, იქაური პოლიცია უნგრეთის ეროვნულ საბჭოს შეუერთდა. სახელმწიფო მოსამსახურეთა და მუშათა გაფიცვა გრძელდება.

ზრესა ზავის შესახებ.

გერმანიის რადიოს ცნობა 30 ოქტ. ავსტრო-ჰუნგრეთის ვილსონისადმი მიმართული ნოტის შესახებ დილის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ნოტა მოულოდნელი არ იყო და ბოლო ხანებში დუნაის იმპერიაში მომხდარ ამბების აუცილებელი შედეგია. „ბერლინის ბირჟის გაზეთი“ სწერს, რომ კაპიტულიაციის ნოტა აუცილებლობის შედეგი იყო. გაზეთი „გერმანია“ ამბობს, რომ გერმენია ახლა მხოლოდ თავისთავზეა დამოკიდებული მის შემდეგ, რაც მოკავშირე ავსტრო-ჰუნგრეთმა გადადგა ეს ნაბიჯი აუცილებლობის ძალდატანებით. „ფორვერსტი“ იხსენიებს, რომ გერმანიის მამაცი ახალგაზრდობა და მისი საუკეთესო შვილნი იმისთვის ღვრიდნენ სისხლს, რომ გადაერჩინა დუნაის იმპერია, რომლის შინაგანი დაბრკოლებანი და გაჭირვება მსოფლიო ომის პირვანდელი მიზეზი იყო. მაგრამ სეპარატიული ზავის მოთხოვნა სხვა მოლაპარაკებათა შორის უყურადღებოთ წამოაყენა მთავრობამ, რომლის ხმას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დინასტიისთვის. ავსტრიის გერმანელებმა, ჩეხელებმა, სამხრეთის სლავიანებმა, პოლონელებმა და მადიარებმა უკვე გადადგეს ნაბიჯები და საზავო მოლაპარაკება დამოუკიდებლათ დაიწყეს. ამის გამო „ფორვერსტი“ იხილავს ავსტრიის გერმანელთა და ჩეხელებს შორის დამყარებულ ურთიერთობას და აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ჩეხელები ეხლა ცდილობენ უარი უთხრან მათ თვითგამორკვევის უფლებაზე. მაგალითად ერთი ჩეხელი გაზეთი სწერს: „ჩვენ არ დაუშვებთ, რომ ჩეხო-სლოვაკთა ტერატორიის მცირე ნაწილიც დათმობილ იქმნას. ჩეხელნი უფრო სამართლიანათ მოეპყრობოდენ გერმანელებს, მაგრამ ჩეხის სახელმწიფოს მოღალატეთა და გამყიდველთა მიმართ სხვაგვარი მოპყრობა ჩვენ არ შეგვიძლიან. ყველა, ვისაც ლოიალობა არ შეუძლიან, უნდა გაყიდოს თავისი ქონება და მიბრძანდეს იქ, სადაც ამჯობინებს. ავსტრო-ჰუნგრეთის სეპარატიულ ზავს შეგნებულათ სურს ავსტრიის გერმანელები მსხვერპლათ მიუძღვნას ჩეხელთ, უზრუნველჰყოს ჩეხელნი და ამ მსხვერპლის საშუალებით აამოს მოკავშირე სახელმწიფოებს. „ფორვერტსი“ სწერს: „გერმანიის და ავსტრიის გერმანელთა განადგურება შეუძლებელია. გერმანიამ გაუძლო 30 წლ. ომის საშინელებას, დიდი ხნის დამცირება სძლია და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ მხოლოდ გეოგრაფიულად არსებობდა. პირველი მაგალითი იმის, რომ ერის მოსპობა შეუძლებელია, თვით ჩეხელნი არიან. გუსის ომმა, რეფორმაციამ და დევნამ ვერ შესძლო ერის აღორძინებისთვის ხელი შეეშალა. და მათ სურთ 70 მილ. გერმანიის ხალხის დაქუცმაცება. საბრალო, უვიცი ხალხი. ისინი ბოლოს ინანებენ ავსტრიის ბალკანიზაციის და ერის თვითგამორკვევის უფლების დამახინჯების გამო, რომლისთვის ახლაც შეუპოვრად იბრძვიან ისინი“. „ფრანკფურტერ-ცაიტუნგი“ აღნიშნავს, რომ ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს იმ დროიდან, როცა სხვა და სხვა ერის მოთხოვნილებით ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობა კი არ ამტკიცებს, არამედ თვით ეროვნული ერთეულები.

## მთავრობაში

იუსტიციის მინისტრმა მიმართა რესპუბლიკის ყველა სამოსამართლო დაწესებულებათ შემდეგის მიწერილობით საქართველოს პარლამენტის მიერ „ქართულ ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შემდეგ წინადადებას გაძლევ რესპუბლიკის ყველა სამოსამართლო დაწესებულებს, რომ ყოველ გვარი ქაღალდი ქართულ ენაზე დაწერილი სავალდებულოდ მიიღოთ. ამასთან ერთათ ყველა სამოსამართლო დაწესებულებათა უფროსთ გავალებთ შეუდგეთ საქმის წარმოებას ქართულ ენაზე რაც შეიძლება მალე და ყოველ შემთხვევაში მიიღოთ ყველა წინასწარი ზომები იმის შესახებ, რომ 1919 წლის 1 იანვრიდან ყველა ახლად დაწყებული საქმეები, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლისა, განხილულ იქმნეს ხოლმე მხოლოდ ქართულ ენაზე. იმ აღნიშნულ ვადის შემდეგ რუსულ ენაზე მიღებულ იქნება მხოლოდ ის საქმეები, რომელიც 1918 წლის ბოლოს არის შემოსული მათ დაბოლოვებამდე. ეს ბრძანება არ ეხება იმ მომრიგებელ მოსამართლეებს რომელიც არჩეულ არიან 1918 წლის 24 ივლისის კანონის ძალით, ვინაიდან მათზე ამავე კანონით დავალებული აქვთ საქმის წარმოება ქართულ ენაზე დღიდან თანამდებობის, აღსრულების დაწყებისა. ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარება დაკისრებულია ყველა სამოსამართლო დაწესებულებათა უფროსებზე.

---

იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში უკვე მოხდა მთლიანი ნაციონალიზაცია. მთელი საქმის წარმოება ქართულ ენაზე სწარმოებს. ამის გამო 1 ნოემბრიდან ყველა მისდამი რწმუნებულნი პირნი და დაწესებულებანი მოვალენი არიან აწარმოონ მიწერ მოწერა მხოლოდ სახელმწიფო ენაზე.

---

იუსტიციის სამინისტროს კანცელარია, მინისტრის ბრძანებით აუწყებს იმ პირთა საყურადღებოდ, რომელიც მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობის მიღებას თხოულობენ, რომ თხოვნები ამ თანამდებობის მიღებაზე არ იქნება განხილული სამინისტროს მიერ და არც იქნება მიღებული სამინისტროს კანცელარიაში. ყველა ამ პირთ თხოვნებით უნდა მიმართონ ქალაქის და საერობო თვითმართველობებში, რომელზედაც დამოკიდებულია ამ თხოვნათა დაკმაყოფილება.

---

მთავრობამ დაადგინა მიწათ-მოქმედების მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 75000 მანეთის კრედიტი მიეცეს სასოფლო სამეურნეო დაწესებულებათა ხზრჯების დასაფარავად.

---

მთავრობამ დაადგინა 14 იანვრის 1918 წ. დეკრეტი გავრცელდეს ყველა ბანკებზე, გარდა სახელმწიფო ბანკისა; მიენდოს ფინანსთა და შრომის მინისტრებს გამოარკვიონ, თუ რომელ კათეგორიის მოსამსახურეებზე ბანკებში ვრცელდება 14 იანვრის დეკრეტი.

---

ადერბეიჯანის წარმომადგენელმა გარეშე საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა ზაქათალის ოლქის 1917 წლის სტატისტიკური მასალები მე გადმოეცითო.

---

მთავრობის დადგენილებით იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მოუვიდა „ტრანსპორტის“ საზოგადოების მიერ გაგზავნილ მეფურგუნეებს ამ წლის 27 ივნისს ახალციხიდან ჩვენი ჯარის ქონების გადმოზიდვის დროს, მიცეთ მათ 26 ფურგუნი თავისი მოწყობილობით და ფულად 174,765 მან. ნაწილ ნაწილად რისი შესაფერისი კრედიტი გაეხსნას სამხედრო მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან.

---

მთავრობამ დაადგინა იმ კომისიის თავმჯდომარეთ, რომელსაც დაევალა ყოფილ თავად-აზნაურობის აგრეთვე ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების ქონებათა მართვა გამგეობის წესრიგის შემუშავება დაინიშნოს განათლების მინისტრი.

---

სახალხო განათლების სამინისტრომ გზათა სამინისტროს აცნობა, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა იმ ქონებათა მართვა გამგეობის წესის შესამუშავებლად, რომლებიც გადავიდა სახელმწიფო საკუთრებად ყოფილ თავად-აზნაურობისაგან და აგრეთვე ღარიბ მოწაფეთა შემწე თავად-აზნაურთა საზოგადოებისაგან, არჩეულ იქმნას კომისია ფინანსთა მიწათ მოქმედების, გზათა და სახალხო განათლების მინისტრთაგან. ამ კომისიის თავმჯდომარედ მთავრობამ ამა 29 ოქტომბერს დანიშნა სახალხო განათლების მინისტრი. აუწყებს რა ამას მინისტრის განკარგულების სამინისტრო სთხოვს გზათა სამინისტროს დანიშნოს თავისი წარმომადგენელი ამ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად. პირველი სხდომა ამ კომისიისა დანიშნულია ძველ ეროვნულ საბჭოს დარბაზში (ფრეილინის ქ., № 11) შაბათს, 2 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე.

---

სამხედრო მინისტრი სთხოვს გზათა მიმოსვლის მინისტრს აუცილებელ საჭიროების გამო მოახდინოს საჩქარო განკარგულება, რომ შეტანილ იქმნეს ჩემს მიმდინარე ანგარიშში სახელმწიფო ბანკში 700.000 მან., რაიც დროებით დათმობილ იყო თქვენდამიო.

---

ფინანსთა სამინისტროს დირექტორმა შემდეგი ტელეფონოგრამა დაუგზავნა ყველა სამინისტროების დირექტორების სახელზე „თანახმად სამინისტროთა დირექტორების დადგენილებისა გთხოვთ არა უგვიანეს მიმდინარე წლის ნოემბრის ორს წარმოადგინოთ ცნობები სიძვირის გამო დახმარების რაოდენობის გამოსარკვევად, თუ რამდენი მოსამსახურე ითვლება თქვენ სამინისტროს დაწესებულებაში. რა კანონის ძალით და რა ჯამაგირი ეძლევათ მათ და რა დამატებითი ჯამაგირები მიუღიათ უკანასკნელ დროს. გთხოვთ აღნიშნოთ ცალკე დაწესებულებანი.

---

შინაგან საქმეთა მინისტრს თვის რწმუნებულმა ლტოლვილთა საქმის შესახებ წარუდგინა მოხსენება ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ქართველ ლტოლვილთა შესახებ. თანახმად მოხსენებისა ამ ჟამად ეს ლტოლვილნი იმყოფებიან სოფლებ საკირესა, თადარისა, თისელსა, აწყურსა, ზოვრეთსა და დვირში; მათი რიცხვი 1260 სულს უდრის და ყველანი რეხის ნაწილიდან არიან ლტოლვილნი. გარდა ამისა ბორჩალოს მაზრის სოფლებ რეხასა, ხანდოსა და არვანში იმყოფება 1341 სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლტოლვილი ქართველი, რომელნიც დიდ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან. მინისტრის რწმუნებული მათ დასახმარებლად სთხოვს მინისტრს 40 ათას მანეთს.

—

საქართველოს პარლამენტის კანცელარიამ გამოუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას მინისტრისათვის მოსახსენებლად ბორჩალოს მაზრის თრიალეთის ნაწილის ს. ახას მცხოვრებთა რწმუნებულების თხოვნა სოფლისაგან 600.000 მან. გადახდევინების შესახებ—გაძარცულ ციხჰაუზის ზარალის ასანაზღაურებლად.

# ახალი ამბები.

### სადგილ-მამულო გამგეობაში.

○ ცენტრალურ სადგილ-მამულო გამგეობამ მოისმინა მოხსენება გამგეობის წევრის მ. ს. ქარცივაძისა გორის მაზრის ბაღების და ვენახების რაციონალურ პირობებში ჩაყენების და საუკეთესო ექსპლოატაციის შესახებ და დაადგინა: გაიგზავნოს ამ მაზრაში გამგეობის წევრი ა. კ. კორინთელი, რომელსაც დაევალოს: 1) გამოიკვლიოს ადგილობრივ გორის სადგილ-მამულო გამგეობა[რამდენად ანხორციელებს მიცემულ ინსტრუქციას ამ მამულების გამგეობის შესახებ. 2) თუ არ ასრულებს, დააკისროს მის ასრულება, 3) თუ ბ. კორინთელი დაინახავს, რომ სახელმწიფო და კერძო მესაკუთრეთა უპატრონოდ დარჩენილი მამულები არ არის წესზე მოვლილი, გადასცეს კერძო პირთ, რომელთაც ანგარიში უნდა აწარმოვონ სადგილმამულო გამგეობასთან და განსაზღვრულ იჯარით გაიცეს, 4) ღვინო და ხილი უპატრონოდ დარჩენილი გაიყიდოს და 5) წინანდელ მოიჯარადრეებთან ამ სახელმწიფო მამულებზე ხელშეკრულებანი გააუქმოს.

○ გუშინ საქართველოს პარლამენტის კრება არ შესდგა.

### ბაქო-ტფილისი.

○ ტფილისში ოქტომბრის 30-დან აღდგენილ იქმნა რადიო-სადგური ბაქოსა და ტფილისს შუა.

### ოსმალების წასვლა

„აშხატავორ-ს" ატყობინებენ, რომ ოსმალებმა დაცალეს კობარლუ, სურამლიუ და იგდირი. ყველა ეს პუნქტები სომხებმა დაიკავეს. ლტოლვილები ბრუნდებიან თავის სოფლებში.

### ტყვეების შესახებ.

○ ავსტრო-უნგრეთის სამხედრო ტყვეების კომისია აცნობებს მცხოვრებთ, რომ ყველას შეუძლიან მიიღოს ცნობები იმ სამხედრო ტყვეების შესახებ, რომელნიც ავსტრიიდან კავკასიაში დაბრუნდენო.

### ხიდის აფეთქება.

○ როგორც დეპეშით გვატყობინებენ მცხეთიდან 1 ნოემბერს დილის 5 საათზე ვილაც ბოროტგამზრახველებს აუფეთქებიათ გადაკიდული ხიდი სადგურებ მცხეთასა და ქსანს შუა მე-262 ვერსზე ფოთიდან. ბოროტ-მოქმედებს შეუწყვიათ ნალმი და ხიდი შუაზე გადაწყვეტილა. ხიდის ქვეითა რკინის ნაწილები გაფუჭებულია, ზეითა ნაწილი კი არ გაფუჭებულა. მატარებელთა მიმოსვლა ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან ხიდის გარეშემო დინამიტებია შემოყრილი.

### მოწოდება.

○ 12 ოქტომბერს დ. საჩხერეში ცეცხლისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი ამით მიმართავს თავისუფალ საქართველოს გულშემატკივარ მოქალაქეთ, არ დაიშურონ თავისი წვლილი უმწეო მდგომარეობაში მყოფთათვის, რომელთა რაოდენობა აღემატება ცის-ქვეშ ღვთის ანაბარათ დაყრილ 30 ოჯახს. დაზარალდენ აგრეთვე კულტურული დაწესებულებანი: თეატრი, სამკითხველო და კოოპერატივი. შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: საჩხერე, კომიტეტის თავმჯდომარე ექიმ ჭილოშვილს.

### სახალხო გვარდია.

თანახმათ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის დადგენილებით გადაწყვეტილია ქუთაისის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბი გადატანილ იქნას ქ. სამტრედიაში, ამიტომ სამტრედიის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბს ეწოდება ქუთაისის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბი, რომელსაც მუდმივი ბინა ექნება ქ. სამტრედიაში.

### სხვა და სხვა ამბები.

○ დღეს სასახლეში დანიშნულია სასოფლო კომისიის სხდომა, რომელიც დღის 12 საათზე დაიწყება.

○ ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ მეორე ქართულ კლუბში (ხარფუხისეული) დღეს და ხვალ გაიმართება ლოტო.

○ 16 ნოემბერს ქ. ტფილისში დანიშნულია რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის ყრილობა.

## ქუთაისი

○ ისპანიურმა ავადმყოფობამ მიიღო ეპიდემიური ხასიათი. ის მოდებულია მთელ ქუთაისში. დღე ისე არ გაივლის, რომ ათეულობით არ იხოცებოდენ მცხოვრებლები. საჭიროა ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ იქნას მიღებული ყოველგვარი ზომები, როგორც ქალაქის თვითმართველობის, აგრეთვე ექიმთა კავშირის მიერ. საჭიროა აგრეთვე ამ ავადმყოფობის შესახებ ქალაქის ყველა უბნებში წაკითხულ იქნას ექიმების მიერ საჯარო ლექციები, რადგანაც მოქალაქეებმა არ იციან როგორ მოვლას საჭიროებს ეს ახალი ავადმყოფობა.

○ სახალხო უნივერსიტეტის მუშაობა ამ მოკლე ხანში განახლდება. სახალხო უნივერსიტეტი აპირებს მოზრდილთათვის საღამოს კურსების მოწყობას, სადაც იქნება სისტემატიური მეცადინეობა.

○ ხაზინაში მოსამსახურეთა მოსალოდნელი გაფიცვის შეჩერება. 25 ოქტომბერს, გუბერნიის კომისრის მოადგილის ლ. გრიგოლიას, მუშათა საბჭოს თავმჯდომარის გრ. ურატაძის, შრომის კომისარის ვ. ჯუღუშაძის და ხაზინაში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლების თანადასწრებით მოხდა კრება. კრებამ იქონია მსჯელობა მოსამსახურეთა მოსალოდნელ გაფიცვის გამო და დაადგინა: შეჩერებულ იქნას გაფიცვა და საქმის მოსაგვარებლათ გაგზავნილ იქნეს ტფილისში ხაზინადარი და პროფ. კავშირის გამგეობის ერთი წევრი. ეს გადაწყვეტილება საჩქაროთ უნდა ეცნობოს ქუთაისის გუბ. ყველა ხაზინებში მოსამსახურეებს.

○ ისპანიური ავადმყოფობა სამეგრელოში. როგორც სამეგრელოდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს, იქ დიდათ გავრცელებულა ისპანიური ავადმყოფობა, რაც თურმე დიდ მსხვერპლს იწირავს.

○ სენაკის სამაზრო საერობო გამგეობა სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის საექიმო სასანიტარო განყოფილებას, სხვა და სხვა ავადმყოფობის გავრცელების გამო გაგზავნოს იქ ექიმები.

○ ქუთ. სამაზრო საერობო გამგეობა სთხოვს ვეტერინალურ ბიუროს რომ დაჩქარებით გაუგზავნოს მას ცნობები, თუ რა დაწესებულებები არის მაზრაში, რომელთა ქონება უნდა გადაეცეს ერობას.

## განცხადებები

### დაკარგულია.

1. უვადო პასპორტი № 1038. მიღებული ქ. ქუთაისის სამართველოდან 6 ენკენისთვეს 1916 წ. 2. რკინის-გზის დუბლიკატი ერთი ვაგონ ღვინის ელიზავეტოპოლიდან ფოთში გაგზავნილ ბსავგურენოს № 34215. 3. და-

---

მესამე ცხენოსან პოლკს,

რომელიც დაბინავებულია ლაგოდეხში,

სჭირდება გამოცდილი

### მწერალი და უნტ.-ოფიცრები,

რომელთაც სამხედრო სამსახური არ ეხებათ პირობების გაგება შეიძლება კორნეტ ისარლოვთან, მელიქოვის ქ., № 9. 975 2—2

---

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ს. ა. კაგრამანოვი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 12, დილის 10 სათზე მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა კავკასიის ფრონტის სამხედრო მიმოსვლის სამმართველოს მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს ყავას და სხვა და სხვა საქონელს და აგრეთვე საზოგადოების მაღაზიის მოწყობილობას, შეფასებულს 2.180 მ. ვაჭრობა მოხდება საპიროვნი ქუჩაზე, № 26, მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიაში. 978 3—2

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტ. 7 დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, რომლითაც არონ მორდხაის ძემ გურჯიმ 40.000 მან. მიჰყიდა გრიგოლ ერისტოს ძე ჭავას მამული ქ. სოხუმში ეკატერინეს და ინჟინრის ქუჩის კუთხეში, № 6, ზომით 139,8 ოთხკ საჟ. შენობებით. სიგელი შედგენია სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან ამა წლის სექტ. 3. 440 3—1

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ ამა წლის სექტ. 7 დამტკიცებულია სოხუმის ნოტარიუსის ზადვორნიცკთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც კონსტანტინე გრიგოლის ძე პოლიტიდიმ 14.000 მან. მიჰყიდა სტავრო დიმიტრის ძე კონსტანტინიდის მამული ქ. სოხუმში, შერვაშიძის ქუჩაზე, № 4, ზომით 175,45 ოთხკ. საჟ. შენობებით. 434 3-1

---

ქუთაისის მაზრის, სოფ. ჩხარის, საგამომძიებლო მომრიგებელ განყოფილების გამგე, სამ. სამარ. საქმ. წარ. წესდ. მე-1401 მუხ. ძალით იწვევს გარდაცვალებულ ლავრენტი ამბაკოს ძე ბუბაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბუბაშვილის ქონებაზე. 716 1-1

---

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ოქტ. 4 დადგენილებით დაამტკიცა შინაური ანდერძი თედორე თომას ძე კონდრატენკოსი. 844 1—1

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს მიერ 1918 წ. ივლისის 8 ყადაღის ამხსნელ მოწერილობის გამო, ყადაღა, რომელიც ითვლებოდა გიორგი ილიას ძე ქსანტოპულოს და სპირიდონ ქსანტოპულოს უძრავ ქონებაზე, და რომელიც აღნიშნული იყო 1915 წ. ყადაღათა კრებულში 62 №-ით, გაუქმებულად ითვლება. 833 1—1

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ სოხუმის მომრიგებელ მოსამართლის 1918 წ. აგვისტოს 13 ყადაღის ამხსნელ მოწერილობის № 1210 თანახმად, ყადაღაა დადებული ივანე ივანეს ძე ენიუტინის ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. სოხუმში ეკატერინეს და ინჟინრის ქუჩის კუთხეში და შეიცავს უფლებას მიწის ნაჭრის $^{3}/_{7}$ ქვის სახლით. ყადაღა დადებულია იმის გამო, რომ მას არ გადაუხდია იაკობ მიმინოშვილისთვის 1995 მან. თამასუქით. ქ. სოხუმის 1918 წ. ყადაღათა კრებული № 31. 837 1—1

---

ქ. ტფილისის მეოთხე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ანნა პეტროსის ასულის პაპულიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება პაპულიანცის ქონებაზე I ნაწ. X ტ. მე-1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადაში. 769 3—1

---

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ოქტ. 11 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ოსკარ რუდოლფ კარიას ძე ტაუბნერის. 845 1—1

---

დაკარგულია ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის მიერ მოცემული მოწმობა, აკაკი ჩუბინიძის სახელზე, დუბლიკატის გამოსატანი მოწმობა მიღებული 28 ოქტომბერს 1911 წ. № 278, რომელნიც უნდა ჩაითვალონ გაბათილებულათ ქუთ. გუბ. შორაპნის მაზრის სოფ. წინსოფელში მცხოვრ. აკაკი დარისპანი ძე ჩუბინიძე. 943 3—2

---

დავკარგე „ფარმატივტიული კონდუიტნი სპისოკი", მოცემული ტფილისის საგუბერნიო საექიმო განყოფილებიდან ა. კახნიაშვილის სახელზედ. მნახველს ვსთხოვ გამოგზავნოს ქ. გორში, ქალაქის აფთიაქში. 983 3—1

---

გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელარია აცხადებს, რომ სამინისტროს სამეურნეო განყოფილების გამგემ სპირიდონ ჩომახიძემ დაჰკარგა საფულე, პიროვნების მოწმობა, ხონის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, კავკასიის ბანკის ჩეკი ათასი მანეთისა ვარვარა ვაჩნაძის მიმდინარე ანგარიშიდან და ექვსასი მან. ფული. დაკარგული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 810 3—1

---

ქ. ტფილისის მეოთხე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს ამა წლის ოქტ. 9 გარდაცვალებულის სტეფანიდა მიხეილის ასულის ლანდზბერგის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ლანდზბერგის ქონებაზე I ნ. მე-X ტ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 965 1—1

---

ქ. ტფილისის მეოთხე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს ამა წლის სექტ. 4 გარდაცვალებულის ივანე გრიგოლის ძე გასპარიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გასპარიანცის ქონებაზე I ნ. X ტ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 970 1—1

---

ქ. ტფილისის მეოთხე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს 1915 წ. ოქტ. 15 გარდაცვალებულის ზაქარია ბესარიონის ძე სამადალოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამადალოვის ქონებაზე I ნ. X ტ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 969 1—1

---

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ვ. ა. ზამოისკი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 22, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა რევაზ იასონის ძე ერისთავის უძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას და შეფასებულია 2.100 მან. ვაჭრობა მოხდება ერისთავის ბინაზე, დავითის ქუჩა, № 36. 984 1—1

---

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების სასამართლოს ბოქაული ვ. ა. ზამოისკი ამით აცხადებს, რომ 1918 ნოემბრის 13, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დავით გაბრიელის ძე მირზოევის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას და შეფასებულია 1.710 მან. ვაჭრობა მოხდება მირზოევის ბინაზე, დავითის ქუჩა, № 7. 985 1—1

---

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ივლისის 11 დადგენილებით დაამტკიცა შინაური ანდერძი ელისაბედ გიორგის ასულის მკერავიშვილისა. 546 3—1

---

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ოქტ. 2 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ტერენტი ივანეს ძე კირვიაკოვის. 850 1—1

---

### გზათა სამინისტრო აცხადებს, რომ ამ ჟამად

მოძრაობაში მყოფი ორი წყვილი სამგზავრო მატარებლები უზომო დატვირთულობისა გამო და აგრეთვე იმიტომაც, რომ მიეცეს მგზავრებს ზოგიერთი შეღავათი მოგზაურობის დროს, 29 ოქტომბრიდან ტფილისსა და ფოთს შუა დაიწყებს მიმოსვლას ერთი წყვილი ჩქარი მატარებლისა №№ 1 და 2 დანომრულ დასაჯდომ ადგილებით. საჯდომ პლაცკარტებს, ურომლისოდ მგზავრებს არ შეუშვებენ მატარებლებში, მიიღებენ კასებში ბილეთებთან ერთად, რაშიაც გადაახდევინებენ სამგზავრო ფასზე დამატებით ოც-ოც მან. ადგილზე კლასების გაურჩევლად.

მატარებელი ივლის შემდეგი წესით:

მატარებელი № 1—გავა ტფილისიდან 17 საათზედ და 42 წ.
მიდის ფოთში—6 საათზედ და 22 წ.
მატარებელი № 2 ბრუნდება უკან: გამოდის ფოთიდან 20 საათზედ და 20 წ.
მოდის ტფილისში 8 საათზედ და 57 წ. ტფილისის დროით.

მატარებლები №№ 1 და 2 გაჩერდება მხოლოდ დიდ სადგურებზედ და აგრეთვე სხვა დანარჩენ სადგურებზედაც, სადაც ტეხნიკურის მხრივ საჭირო იქნება. 821 1—1

---

### ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თანახმად მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის კანონისა 4 ოქტ. 1918 წ., ახლო მომავალში მოხდება არჩევნები ქუთ. მაზრის 11 უბნის მომრიგებელ მოსამართლესი და 5 საპატიოსი. მსურველმა უნდა შემოიტანოს თხოვნა საჭირო საბუთებით ერობის გამგეობაში. 652 1—1

---

ქართული საამშენებლო-სამრეწველო აქციონერული საზოგადოება „ოქროს ვერძი" ამით აცხადებს, რომ რადგან 30 ოქტომბერს ამ წლისა არ შესდგა უწყებებით და განცხადებებით მოწვეული კრება აქციონერებისა, ამისათვის წესდების 66 მუხლის ძალით იწვევს აქციონერებს მობრძანდნენ

### მეორე საგანგებო კრებაზე,

რომელიც დანიშნულია ქ. ფოთში, საურთიერთო ნდობის საზოგადოების სადგომში, კვირას, 17 ნოემბერს, დღისით 12 საათზედ. ეს კრება ჩაითვლება კანონიერათ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი აქციონერი დაესწრება მას. გაირჩევა იგივე საკითხები, რომელიც უნდა გარჩეულიყო პირველ კრებაზე: 1. დანიშვნა ვადების საზოგადოების აქციონერ დამფუძნებელთა შორის გაწერილ აქციების შემოსატან გადასახადების და ამ გადასახადების რაოდენობის. 2. გამოცვლა გამგეობის ერთი წევრის (§ 40). 869 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.